# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 28 აპრილი 1995 № 21 (159) ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის, მისი აღმატებულება ალი აკბარ ჰაშემი რაფსანჯანის ამასწინანდელმა სტუმრობამ ქართული პრესა, რადიო თუ ტელევიზია, როგორც სჩანს, ერთი ხნით სპარსულ ტალღაზე გადააწყო. ირანელთა ელჩობას სპორტთან კავშირი არა ჰქონია, მაგრამ ცდუნებას ვერც „სარბიელმა" გაუძლო და საფეხბურთო რეცენზიის სათაური რატომღაც სპარსულ პოეზიაში მოვიძიეთ.

რაფსანჯანის ვიზიტი ერთი კვირით გვიან რომ შემდგარიყო და ფეხბურთის დიდ მოყვარულს, მის აღმატებულება სახელმწიფოს მეთაურსა და პარლამენტის თავმჯდომარეს თამაშზე რომ მოეწვია, ბატონ პრეზიდენტს, ვფიქრობთ, მატჩის შემდეგ თავისი ქვეყნის პირველი პოეტის სათაურად გამოტანილი ფრაზა აღმოხდებოდა...

გუშინწინდელი „სანახაობის" მთავარი შემოქმედნი ალბანელები იყვნენ და სასათაურე კითხვაც, უპირველესად მათ ეკუთვნით.

ალბათ ბევრი დაგვეთანხმება, რომ ასე სუსტად, გნებავთ უსუსურად, უჯიგროდ უცხოურ გუნდს თბილისში ჯერ არ უთამაშია. ერთი-ორი ალბანელის შექაჩლებული თავი თუ წამოზრდილი ღიპი მოთელვაზეც შევამჩნიეთ, მაგრამ თამაშსაც დააზლოებით ვეტერანთა მატჩის ტემპში თუ წარმართავდნენ, რას ვიფიქრებდით.

უწყის უფალმა, ჩვენების გამარჯვების და[illegible]ნებას არა ვცდილობთ. ან რომელი [illegible]ქლოფელი მოსთხოვს კაცს მთელი [illegible] თამაშს, როცა მეტოქეს სირბილიც კი [illegible]არება და მთელი მატჩის მანძილზე ერთი-ორჯერ თუ დაჯარიმდება. ჩივაძეს მთლად ვერც იმაში დავეთანხმებით — მეორე ტაიმში ჩვენები დაილალნენ და ანგარიში მიტომაც ველარ გაზარდესო — ამის მიზეზი ისიც უნდა იყოს, მეტოქის უხალისობ[illegible]ვენებსაც რომ გადაედო და თამაშის ხალისი დაუკარგა.

საქმეს ვერც მაყურებელმა უშველა. წაქცეულის ცემა ქართველებს მაინცდამაინც არ გვიყვარს, ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთის მოედანზე. გუშინწინ კი დარბაისლობით განთქმული თბილისური „ტრიბუნაც" აღშფოთდა და მეორე ტაიმის შუაწელს ღონემიხდილი, მისიკვდილებული მეტოქის აღსრულება — გოლის გატანა მოითხოვა, თითქოს ფეხბურთელები გლადიატორები ყოფილიყვნენ...

## საქართველო 2:0 ალბანეთი



# მოასპარეზეთ რა მოუვიდათ?

ფეხბურთელები გლადიატორები არ არიან, ოღონდ ისიცა ვთქვათ, მთლად მეტოქის გუნება-განწყობილებაზე ყოფნაც რომ ვერაფერს გვარგებს, თორემ რა გამოდის: გერმანელებთან მეტოქის კარგმა თამაშმა შეგვიშალა ხელი, ალბანეთთან — პირიქით — უსუსურმა მოწინააღმდეგემ? ჩვენც ხომ უნდა ვცადოთ ჩვენის გაკეთებას!

თუმცა, ბოლოსდაბოლოს, 2:0 ხომ მოვიგეთ, მესამე ადგილზე დავმკვიდრდით, ფინალში გასვლის თეორიული შანსებიც შევინარჩუნეთ და აქამდე მოპოვებული ავტორიტეტიც: მეტოქე რომ სულ ვერ გაგვიძალიანდა, ნაზღვარი ევროპაც ვერ გაიგებს. ჩივაძეს იმაშიც უნდა დავეთანხმოთ, ალბანეთთან ორი მოგება საქართველოსთვის დღეს მიღწევააო, რომ ბრძანა. დიალაც, თავი არც გერმანელებთან შეურცხვენიათ, ტირანაშიც კაი შიში გვაჭამეს, თბილისში კი, მეორე წუთზე გოლი გაუშვეს და მერე წახდნენ და წახდნენ...

არადა, ეგ წყეული „პირველი გოლის ფაქტორი" როგორცა სჩანს, ჩვენს შესარჩევ ჯგუფში მართლაც დამანგრევლად მოქმედებს. თავად განსაჯეთ, ექვს მატჩში სამჯერ ჩვენ გაგვაწბილა და სამჯერ — ჩვენი მეტოქეები. ჩივაძის კოლეგა ნეპტუნ ბაიკოსაც პრესკონფერენციისას ერთთავად მეორე წუთზე გაშვებული გოლი ეკერა პირზე.

მეორე წუთზე კი, შოთამ ჯამარაულის პასი მიიღო, მეკარესთან პირისპირ დარჩა, ალბათ გერმანიასთან მატჩი და კეპკე მოაგონდა, მერე სტრაკოშა ადვილად მოიტოვა და აუღელვებლად დაარტყა...

შოთაზე — ქვემოთ, ჯერ ჩვენების განლაგებას გავეცნოთ. ჩიხრაძემ ნაკრებში პირველად ითამაშა სტოპერად — ცენტრში შელიას შეეწყვილა. ამათ კუდინოვი აზღვევდა. სამმცველიანი დაცვა, ჩივაძემ მოლდოვასთან თამაშის შემდეგ პირველად გამოიყენა და ამჯერად — წარმატებით. დაცვაში ამგვარ განლაგებაზე ადრეც გვისაუბრია და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, იმასლა ვიტყვით, რომ ასეთი სქემისას მთავარი იმ ორი ფეხბურთელის მოძებნაა, მთელი ფრთის გაკონტროლება რომ შეეძლოთ — საკუთარიდან მეტოქის საჯარიმომდე. საქართველოში ეს მხოლოდ ერთ კაცს — რევიშვილს შეუძლია, რომელსაც გუშინწინ რატომღაც არ უთამაშია. მასზე და მარჯვენა ფრთაზე მის შემცვლელ ლუდუშაურზე მოგვიანებით ვისაუბრებთ, მარცხნივ პირველად გადასროლილ გოგიბაიშვილზე კი აქვე მოგახსენებთ: პირველ ტაიმში, როცა თამაშს ჯერ კიდევ თამაში ეთქმოდა, კახა მოედანზე ერთ-ერთი საუ-

იხილეთ მეორე გვერდი

## სათაურად გამოტანილი სიტყვები მურთაზს და შოთას არ ეხება: არველაძემ თავისი საუკეთესო მატჩი ითამაშა ნაკრებში. შელიას გლადიატორული ჟინი კი ვერაფერმა დაიოკა







შოთას გოლს თემურ ქეცბაიამ ერთიც დაუმატა

გია ახალაძის ფოტორეპორტაჟი



ევროპის ჩემპიონატი
VII შესარჩევი ჯგუფი
თბილისი, ეროვნული სტადიონი, 26 აპრილი

## საქართველო - ალბანეთი 2:0

1. დევაძე
3. კუდინოვი
5. ჩიხრაძე 4. შელია
2. ლუდუშაური 7. ინალიშვილი 6. გოგიჩაიშვილი
8. ჯამარაული 9. ქეცბაია
10. ყიზილაშვილი 11. შ. არველაძე

10. რაკლი 7. კუშტა
11. დემოლარი
9. დალიპი 6. კაჩაი 8. ფორტუზი 2. მემა
3. მალკო 4. ჯუმბა
5. ვატა
1. სტრაკოშა

შეცვლები: 56-ე წთ. ფორტუზი — 13. პრენგა
59-ე წთ. ყიზილაშვილი — 15. ა. არველაძე
70-ე წთ. შელია — 12. ლობჟანიძე
84-ე წთ. კუშტა — 14. დოსტი

1:0 შ. არველაძე (2), 2:0 ქეცბაია (42)

გაფრთხილება: ჯუმბა (45)

მსაჯები: ლუნგი, ოვერკლიფტი, ვან დეიკი (ჰოლანდია)

კარში დარტყმა 14:6 (11:2), კუთხური 5:1 (3:1), ჯარიმა 20:13 (9:5), თამაშგარე 5:2

# მოასპარეზეთ რა მოუვიდათ?

დასაწყისი პირველ გვერდზე

კეთესო იყო. მისი ფლანგიდან სტუმრებმა ერთი-ორჯერ გაიფაფხურეს, მაგრამ გოგიჩაიშვილის უპირატესობა აშკარა იყო — რამდენჯერმე სახიფათოდაც ჩაწოდა, ქეცბაია მეკარესთან პირისპირაც გაიყვანა, ბოლომდეც იბრძოლა და არაფრისგან საგოლე მომენტიც შექმნა. მხოლოდ ერთხელ, მეორე ტაიმში შეეტყო, რომ ამ ფრთაზე თამაშს ჩვეული არაა — მეტოქე კი მოატყუა, მაგრამ ცაციით ვერ ჩააწოდა.

დაცვაში ჩიხრაძე რაკლის დასდევდა, თან თავისი ზონაც უნდა ეკონტროლებინა, შელიას კი ცალი თვალი შეტევაზე ეჭირა, რის გამოც კუდინოვი თავიდან ერთობ დაიტვირთა, მაგრამ მერე საქმე ისე აეწყო, საკეთებელი თითქმის არაფერი დარჩათ — კუდინოვს კი არა, დევაძესაც თამამად შეეძლო შემტევთა მიშველება — აკი ერთხელ, როცა უსაქმოდ მყოფს მცველებმა ბურთი მიუგორეს, მოინდომა კიდეც, დრიბლინგიც წამოიწყო და ყველა აალელვა. თამაშში მეკარის მსგავსად ჩართვა უცხო ხილი აღარსადაა: როცა საჭიროა, მეკარეს მცველის ფუნქციებსაც საკმაოდ ხშირად შეათავსებინებენ ხოლმე, მაგრამ ჩვენში მსგავსი რამ დღემდე საყოველთაო დაბნეულობას იწვევს. აკაკის თავის გამოჩენის შანსი მეორე ტაიმში, ისიც ერთხელ მიეცა და წინ გამოჭრილმა ბურთი გემოზე მუშტით მოიგერია. ერთი სიტყვით, დაცვას საქმე თითქმის არა ჰქონია, ინალიშვილს მისი შველა თითქმის არ დასჭირვებია და ფაქტიურად უფუნქციოდ დარჩა.

ჯამარაულზე კაცს ძვირი როგორ უნდა დაცდეს — შესვენებამდე მისი სამი საგოლე პასიდან სტრაკოშამ მხოლოდ ერთი გააუვნებლა, მაგრამ გოჩა ხშირად ტემპს რომ არა ჰკარგავდეს და შეტევის გაგრძელებისას ორიდან ერთხელ მაინც სწორ გაგრძელებას ირჩევდეს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა...

ტრავმის შემდეგ პირველად ითამაშა ქეცბაიამ. ამის ბარობაზე — რიგიანადაც. შესვენების წინ გაილაღა კიდეც, რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტია და ჯამარაულის პასიც გოლად აქცია, ბოლოს შელიასგან კაპიტნის სამკლაურიც გადაიბარა.

1994 წლის თებერვლის შემდეგ ნაკრებში პირველად ითამაშა ყიზილაშვილმა. ერთთავად ბურთისთვის მებრძოლს ერთიორი მცველი მუდმივად დასაქმებული ჰყავდა, შოთასაც შეეხიდა, მაგრამ მეტოქის კარს საფრთხე ვერ შეუქმნა. ცხადია, სხვადასხვა ჯურის ოლიმპიაკოსებისა თუ აპოელების ბადალი მეტოქეების შემდეგ ნაკრების დონეზე მის გადართვასა თუ პარტნიორებთან შეთამაშებას დრო სჭირდება.

ფეხბურთელების დახასიათებისას აქამდე ხშირად შეამჩნევდით სიტყვებს — პირველ ტაიმში, შესვენებამდე... ბოლოსთვის ის ორი კაცი შემოვინახეთ. ვინც ბოლომდე, ორივე ტაიმი იბრძოლა.

შოთა არველაძემ ალბათ თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა ნაკრებში. ამჯერად მას მხოლოდ საგოლე დარტყმის შესრულება არ ევალებოდა და არც ბურთს ილებდა მაინცდამაინც კარისკენ ზურგით მდგარი. ისე თამაშობდა, როგორც „ტრაბზონსპორში“ — ბურთის მისაღებად უკან, ხშირად საკუთარ ნახევარზეც იხევდა, მარცხენა ფრთაზეც გადადიოდა და ფინტებს დააფრქვევდა ხოლმე მეტოქეთ, მერე ან პასებს არიგებდა, ან თავად აწუხებდა სტრაკოშას. ერთი სიტყვით, ლაზათიანად, შედეგიანად იჯამბაზა.

ამდენ ქართველებში ერთ ალბანელსაც ვახსენებთ. ინდრიდ ფორტუზის ერთი პირობა ვლადიკავკაზის „სპარტაკი“ ეპატიჟებოდა, მაგრამ ოსეთში ქართველთა ჯგუფური გადასვლის შემდეგ ტირანელს უარი შეუთვალა. გუშინწინ მხოლოდ ერთმა „ვლადიკავკაზელმა“ ითამაშა, მაგრამ ფორტუზი მიხვდებოდა, ვინ ანაცვალეს და რატომ:

გლადიატორული ჟინი შელიას ვერც მეტოქის უგერგილობამ ჩაუკლა. დაცვაში რომ სრულად ვერ დაისაქმა თავი, შემტევთ მიეშველა, გარემარბობაც კი იკისრა და ერთხელ თამაშგარეც კი აღმოჩნდა! ის კი არა და, შემართებით კინაღამ თავიც წააგო.

დებიუტანტზე საუბარი ბოლოსთვის შემოვინახეთ. ახალბედის გაკრიტიკება მთლად კარგი საქციელი ვერაა, მით უფრო, თუ სხვაზე ნაკლებად არ უთამაშია, მაგრამ თუ სხვისთვის ალბანეთთან თამაში ჩვეულებრივი, რიგითი მატჩი იყო, ლუდუშაურს სწორედ ახალბედობა არ ეტყობოდა. გიორგიმ აქამდე მოლდოველ ოლიმპიელებთან გატანილი ლამაზი გოლით თუ დაგვამახსოვრა თავი, გუშინწინ კი გეგონებოდათ, რომ პირველად კი არა, ოცდამეათედ ეცვა ეროვნული ნაკრების ფორმა და იქ ადგილი კარგა ხნის დაჯავშნული აქვს. ჟინიანობის მაგალითისთვის შორს წასვლა არაა საჭირო — მარცხენა ფრთაზე შელია თავქუდმოგლეჯილი დარბოდა, მარჯვნიდან კი ალბანელები მაინცდამაინც არავის შეუწუხებია.

თამაშიდან კიდევ რამდენიმე დეტალის გახსენება თუ შეიძლება: პირველი ტაიმის ბოლოდან მოყოლებული ჩვენებს უამრავი კონტრშეტევის შანსი მიეცათ — მეტოქის საჯარიმოს მიახლოებული ალბანელები ზუსტ პასებს ქართველებს აწვდიდნენ, მაგრამ ამათ ვერ იხეირეს; მეორე ტაიმში, ყიზილაშვილის ერთ ფუჭ მცდელობას თუ არ ჩავთვლით, მასპინძლებმა კარში პირველად 34-ე წუთზე დაარტყეს; ალბანელთა ყოვლისგამაბრუებელი არხეინობა მოედანს გასცდა და ჩვენების სათადარიგოთა სკამზეც შეაღწია, რის გამოც ლობჟანიძეც ერთობ დაბნეული ჩაერთო თამაშში; ბოლო წუთებზე ჩვენებმა მოცელეს რაკლი, რომელიც საჯარიმოდან ბურთიანად სადღაც გარბოდა და, ბუნებრივია, მსაჯმა მისთვის პენალტი არ გაიმეტა.

აქ ცხადაძის, ქინქლაძისა თუ ნემსაძის ტრავმებზე აღარ შევჩერდებით — ალბანელებს სამი-ოთხი მოწინავე ფეხბურთელი ყოველ თამაშზე აკლიათ — რევიშვილის არყოფნაზე კი, ჩივაძის თხოვნის მიუხედავად, მაგ საკითხზე ყურადღებას ნუ გაამახვილებთო, ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ.

ზაზა იმ დღეს მოედანზე არ გამოჩენილა, არც სათადარიგოდ ჰყოლიათ, პრესლოჟის თვალსაწიერიდანაც არავის დაულანდავს და, ბუნებრივია, პრეს-კონფერენციის პირველი კითხვაც მის არყოფნას შეეხო.

— უბრალოდ, გადავწყვიტეთ, რომ დღეს არ გვეთამაშებინაო, — განაცხადა მწვრთნელმა.

ჩივაძემ მოგვიანებით ისიც დაიჩივლა, ზოგიერთი მოთამაშის ფიზიკური კონდიციები არ მაკმაყოფილებსო — რევიშვილი ამ მხრივაც ერთ-ერთი საუკეთესოა ქართველებში და თუ ექსპერიმენტების დროა, რალა მარჯვენა ფლანგს ვამოწმებთ, სადაც ორი კარგი ფეხბურთელი — რევიშვილი და გოგიჩაიშვილი გვყავს.

კიდევ ერთი ვერსია მოგვიანებით ამოტივტივდა — ბოროტი ხმები ამტკიცებენ, საქმე ის ყოფილა, ზაზას ორმაგი მოქალაქეობა რომ მიუღიაო. უფრო სწორად, მხოლოდ რუსეთისა, რადგან, რამდენადაც ვიცით, ორმაგი მოქალაქეობა არც საქართველოშია დაშვებული და არც — რუსეთში. საფეხბურთო თვალსაზრისით მოთამაშის მიერ ქვეშევრდომობის გამოცვლა ჩვენთვის საზიანო არაა — ჩივაძემ იქვე უეფას ფაქს... ...ნახა, რევიშვილი თქვენიაო და „სტადიონის“ მიმომხილველმა ბიძინა ბარათაშვილმა ამას მაგალითიც დაურთო: აბელ ბალბო კარგა ხანია, იტალიის მოქალაქეა, მაგრამ არგენტინის ნაკრებში თამაში მისთვის არავის დაუშლიაო...

რევიშვილის გაუჩინარებისა და ყაველაშვილის ტრავმის შემდეგ შეკრებაზე თხუთმეტი ფეხბურთელიღა დარჩა და მეთექვსმეტე ადგილი დინამოელ ლევან ცქიტიშვილს ერგო, რომელსაც, შელიას ტრავმა და იძულებითი ცვლილება რომ არა, საქმით გამოვცდიდი კიდეცო — გვითხრა მწვრთნელმა.

ხომ არ აჯობებდა, მატჩისწინა შეკრებებზე ჩვიდმეტის ნაცვლად 19 ან 20 ფეხბურთელისთვის დაგვეძახა, რათა ვინმეს გამოკლების შემთხვევაში ვაკანსია დიღმის ბაზაზე მყოფი რომელიმე დინამოელით არ შეგვევსო და სხვა გუნდებისთვის განაწყენების საბაბი არ მიგვეცა? ეს, რა თქმა უნდა, არ შეეხება არჩილ არველაძეს, რომლის გასინჯვაც, ნაკრებში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ფრიად საშური საქმე იყო. ცხადია, არც 19 წლის ცქიტიშვილის წინაალმდეგია ვინმე, რომელიც კარგი ფეხბურთელია, მაგრამ არც „დინამოშია“ ლიდერი და არც — ოლიმპიურ ნაკრებში.

ნაკრების გაახალგაზრდავება და 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადება, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ მთლად საექსპერიმენტო პოლიგონადაც ნუ გადავაქცევთ ნაკრებს — მომავალ სამსოფლიოჩემპიონატოდ ჯერ ჯგუფში მესამე ადგილის დაკავება გვჭირია, რაც წელსვე გასამართი წილისყრისთვის რეიტინგს შეგვმატებს და განთესვისას უფრო მაღალ „კალათაში“ მოგვახვედრებს. ამაში კი ახალუხლებთან ერთად, იქნებ ზოგჯერ „ბებრებიც“ გამოგვადგნენ.

ცოტა უცნაური ჩივაძის კიდევ ერთი განცხადება იყო: „ინალიშვილმა, თავისი ფიზიკური კონდიციების კვალობაზე კარგად ითამაშაო“. მაშ მოუმზადებელი კაცი ბერლინიდან რაღად ჩამოვიყვანეთ — მაგ ამპლუისა საქართველოში სხვა არ მოიძებნება? მაგალითად ცომაიას მოვიყვანთ, რომელიც ჩივაძის წინამორბედის ნაკრებში უცვლელად თამაშობდა, ახალ მწვრთნელს კი ერთხელაც არ ჩაუთვლია გასინჯვის ღირსად, თუნდაც, ამხანაგურ მატჩში, ნორაკიძის კიდევ ერთი რჩეული გიორგი დარასელია კი ერთადერთხელ, ორი წლის წინ, აზერბაიჯანთან გამოსცადა, არადა, წელს ფოთში ჩინებულად თამაშობს...

ფეხბურთზე კმარა. ჩაროზად ცოტა უფრო სახალისო ამბები ინებეთ. „საუკუნის მატჩთან“ შედარებით მაყურებელმა დაახლოებით ოთხჯერ იკლო, მოედანს შემოჯარულმა ხალხმა — უფრო მეტად. კოჭებამდე მაზარებში ჩაფართხუნებული ჯარისკაცებისთვის თვალი აღარ მოგვიკრავს, სამაგიეროდ, თეთრი ეპოლეტებით დამშვენებული ოფიცრები ორივე კარის უკან ნახევარრკალად ისევ გამოჯგიმულიყვნენ. იქვე, ზედ მოედნის კიდეზე, ოთხიოდ გენერალს, საველე შტაბივით, მაგიდა გაემართათ. გერმანელებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ცოტა ხნის წინ ჩვენზე ბევრად უფრო გასამხედროებული ქვეყნის პატრონ ალბანელებზე დიდ შთაბეჭდილებას ალბათ ვერ მოახდენდნენ.

შესვენებაზე პოლისმენებმა ჯერ მაყურებლისთვის უკვე კარგად ცნობილი მოხალისე ჟონგლიორ-ფეხბურთელი გამოაპანღურეს მოედნიდან, ცოტა ხანში კი, თვალებს არ დავუჯერეთ — ჩვენი ორი ფოტორეპორტიორიდან უმრწემესი — ხელგაკავებული ჩამოატარეს. საველე შტაბის გახსენებაზე ჯერ შევშფოთდით, ემანდ პირდაპირ ტრიბუნალს არ გადასცენ-თქო, მაგრამ როცა ტრიბუნებს ქვეშ შეიყვანეს, ჯიბეები მოვიჩხრიკეთ და გამოსახსნელი ფულის შეგროვებას შევუდექით. ბედად, მალევე უვნებლად გაათავისუფლეს.

ბოლოს, სტადიონის დირექციას მივმართავთ დაგვიანებული თხოვნით: ან ჩვენთვის შემოკავებულ სექტორს ფირნიში „პრესის ლოჟა“ ახსნან, ანაც, თუ შესაძლებელია, ამ ადგილებზე ბილეთებს ნუღარ გაყიდიან. თორემ, აქამდე თუ ყოველ საერთაშორისო მატჩზე ავუდიოდით მოზიარეებს, გუშინწინ ერთმა პეწიანად ჩაცმულმა, განსაკუთრებით ჯიუტმა მოქალაქემ ჩვენი კოლეგა, ჟურნალისტი ქალიშვილი კინაღამ გამოგვილანძღა.

მამუკა ჩიხლაძე



ჩვენი ლიბერო — დიმიტრი კუდინოვი



ორივე გოლი ჯამარაულის პასებით გავიდა



რუდი ვატამ ქეცბაიას მეორე გოლის გატანაში ხელი ვერ შეუშალა

# ყველამ თავისი იდარდოს...





ალბანელთაგან, მწვრთნელებიან-გუნდიან-თანმხლებ პირებიანად, თუ ვინმემ გააკვირვა ჩივაძე და, სიურპრიზი შესთავაზაო, იტყოდი, სტუმარი ჟურნალისტები იყვნენ. პრეს-კონფერენციაზე თავიანთ მწვრთნელთან მალე მოითავეს საქმე:

**— როგორ გგონიათ, შეიძლებოდა თუ არა, თამაში სხვაგვარად წარმართულიყო?**

— პირველი გოლი ძალიან მალე გავუშვით და ეს იყო ჩვენების ყველაზე დიდი შეცდომა. ასე რომ არ მომხდარიყო, თამაში ალბათ სხვა სცენარით წარიმართებოდა, თუმცა საბოლოოდ როგორ დასრულდებოდა, ამას მაინც ვერ ვიტყვი. უმალ გატანილმა ამ პირველმა ბურთმა ფსიქოლოგიურად გაგვტეხა. თანაც, საქართველოს ნაკრები ფაქტობრივად, ახალი გუნდი იყო, ოთხი ახალი მოთამაშე ჰყავდა, ჩვენც სამი ახალი გამოვიყვანეთ.

**— საქართველოს ნაკრებს უკვე ორჯერ ეთამაშეთ. როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე ამ გუნდმა?**

— მე ქართველების საუკეთესო თამაშიც ვნახე სოფიაში, ბულგარელებთან. კარგი გუნდია, თუმცა ჩვენთან, ტირანაში, ბედმა გაუღიმა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, როცა ჩვენი უპირატესობა აშკარა იყო. აქ კი ჩვენ ძალიან ცუდად ვითამაშეთ.

**— [illegible]ამ გამარჯვებინა საქართველოს ნა-[illegible]**

— [illegible]რველ რიგში, ეს იყო ფსიქოლოგიურად მოგებული თამაში. ჩვენ კი გვაკლდა ორი-სამი საუკეთესო და გამოცდილი მოთამაშე.

**— როგორ შეაფასებდით მეშვიდე ჯგუფში შექმნილ მდგომარეობას?**

— თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ საქართველო პრეტენზიას განაცხადებდა ჯგუფიდან გასვლაზე. ქართველებს რომ სხვა თამაშებშიც ასეთივე ბედი ჰქონოდათ, როგორც ჩვენთან პირველ თამაშში, ეს, ალბათ, ახეც მოხდებოდა...

ნირწამხდარი ნეპტუნ ბაიკო რომ გაისტუმრეს, ალბანელებმა ჩივაძე ჯერ „დაჰკითხეს":

**— საქართველო — ალბანეთის ორი მატჩიდან, თქვენი აზრით, რომელი სჯობდა?**

— პირველი თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. ალბანელებს ჰქონდათ უპირატესობა, ძირითადად, სტანდარტული სიტუაციების წყალობით. საერთოდ კი, ჩვენი გუნდი ახალგაზრდულია და არა მარტო ასაკით, არამედ გამოცდილებით. ჩვენთვის ყოველი მატჩი გამოცდილების მიღების საშუალებაა. ამიტომაც მიმაჩნია წარმატებად ამ ეტაპზე ალბანელთა დამარცხება.

**— თქვენი გამარჯვება ბედის წყალობა იყო თუ...**

— დღევანდელი მოგება ჩვენთვის ორმაგად ფასეულია — ჩვენ ხომ რამდენიმე ძირითადი მოთამაშე გვაკლდა.

**— რატომ ითამაშა ასე დუნედ მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრებმა?**

— როცა ფეხბურთელი ფიზიკურად მზად არ არის, ტაქტიკაზე ლაპარაკი ზედმეტია. ნაკრებში მოთამაშეთა ფიზიკურ მზადყოფნაზე კი არა, ტაქტიკაზე უნდა ვიმუშაოთ.

**— ალბანელთა მწვრთნელი რომ ყოფილიყავით, ვის თამაშს შეაფასებდით უმაღლესი და ვისას ყველაზე დაბალი ნიშნით?**

— მე ჩემი ნაკრებიც მეყოფა... ისე კი, ალბანეთს ჰყავს ისეთი კარგი მოთამაშეები, რომელთა გამოყოფა შეიძლება — რაკლი, დემოლარი, კუშტა, ვატა...

**— ალბანეთს კი მოუგეთ ორჯერ, მაგრამ საბოლოოდ რას ისახავთ მიზნად ჯგუფში?**

— არაერთხელ მითქვამს, რომ ამჟამად საქართველოს ნაკრები შენების პროცესშია. მე მინდა იგი ფეხბურთელებისთვის იყოს ტაძარი, რომელშიც ისინი საკადრისად მოიქცევიან — ნაკრების თამაშს ყოველმხრივ, სპორტულადაც და საყოფაცხოვრებო თვალსაზრისითაც, მომზადებულნი შეხვდებიან...

აი, ამის მერე კი ის იყო, ზემოთ რომ სიურპრიზი ვახსენეთ და რაც მართლა იშვიათად ხდება პრეს-კონფერენციებზე: მოდით, ახლა ჩვენ და თქვენ სამახსოვრო სურათი გადავიღოთო, სთხოვეს ალბანელმა ჟურნალისტებმა ასეთი მოულოდნელი შეთავაზებით ცოტა არ იყოს დაბნეულ ქართველთა მწვრთნელს. საერთო მხიარულების ფონზე ეს საქმეც მალე მოგვარდა, სტუმრები მხურვალე ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობნენ ჩივაძეს. მანაც, როგორც იქნა, შინაურებისთვის მოიცალა:

— შელიამ ცხვირი დაიზიანა, თუმცა ეს არაფერია იმასთან, ექიმებმა რომ სთქვეს: მას ტვინის შერყევის ნიშნები აქვს.

— ადრეც მითქვამს, რომ გადაწყვეტილი გვაქვს გეზი მსოფლიოს ჩემპიონატზე ავიღოთ, ამიტომ ახალგაზრდებს განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ. მინდა ყველა გამოვცადო. თქვენ ყიზილაშვილზე მკითხეთ — დათო ადრე რამდენჯერმე დაშავდა, შანსს მას კიდევ მივცემთ.

— ფეხბურთელი ნაკრების შეკრებასა და თამაშს სათანადო ფიზიკურ მზადყოფნაში უნდა შეხვდეს. განა საკმარისია ის 4-5 დღე, რაც ჩვენთან უნდა იყოს, ფიზიკური კონდიციების გასაუმჯობესებლად?! ამაზე ფიქრის დროც არა გვაქვს, თამაშის წინ ტაქტიკით უნდა ვიყოთ დაკავებულნი. თუ მოთამაშე ფიზიკურად მზად არ არის, ის არასწორ გადაწყვეტილებებსაც იღებს. ფეხბურთელს, რომელიც ნაკრების თამაშზე ერთხელ, მეორედ მოუმზადებელი ჩამოვა, შანსს აღარ მივცემ.

— იძულებითი ცვლილებები რომ არა, გვსურდა ცქიტიშვილიც გამოგვეცადა.

— გამოვყოფდი შელიას, კუდინოვს, ჩიხრაძეს, დევაძეს, შოთა არველაძეს, ინალიშვილს — თუ მის ფიზიკურ მდგომარეობას გავითვალისწინებთ (გელა თურმე ავადმყოფობდა. რედ.), ქეცბაიას კი მადლობა მინდა გადავუხადო — არცთუ დიდი ხნის წინ დაშავებული, საქმეს ისე მიუდგა, რომ ჩამოსვლაც შეძლო და თამაშიც.

— რევიშვილმა მიიღო რუსეთის მოქალაქეობა, თუმცა მას ჩვენს ნაკრებში თამაში შეუძლია, რუსეთისაში — არა. ამაზე უეფას ფაქსიც მივიღეთ. დღეს გადავწყვიტეთ იგი არ დაგვეყენებინა, რევიშვილი რჩება ნაკრების კანდიდატად და ძალიან გთხოვთ, ამ ამბავს კუდებს ნუ გამოაბამთ.

# რეპორტაჟი გასახდელიდან

მატჩის შემდეგ გასახდელში გახარებული ფეხბურთელები და დამწუხრებული მწვრთნელები დამხვდნენ. ეს იმით ავხსენი, რომ პირველთ გამარჯვებას ენერგია, მეორეთ კი ნერვები შეალიეს. იმავწამს **შელია** მოვძებნე, რომელიც გაუნძრევლად იჯდა სკამზე. ცხვირზე საფენაფარებული და მაისურდასისხლიანებული მურთაზის ნახვა გულს მოგიკლავდა კაცს.

— თავბრუ მეხვევა და თვალთ მიბნელდება — ესღა მითხრა მურთაზმა მეც უმალ განვერიდე, რადგან ექიმების ჩურჩული მომესმა, ტვინის შერყევა უნდა ჰქონდესო.

**შოთა არველაძე და ყიზილაშვილი** აქაც გვერდიგვერდ იყვნენ და ერთმანეთს ქათინაურებს ესროდნენ. პირველი კითხვა მატჩის გმირს დავუსვი:

**— შოთა, ამ ტურნირზე პირველად ითამაშე ყიზილაშვილთან ერთად თავდასხმაში...**

— მე და ყიზო ბავშვობიდან ერთად ვართ და არასდროს გვიჭირდა საერთო ენის გამონახვა. ყველას მადლობას ვუხდი — პარტნიორებს, მწვრთნელებს, მაყურებელს, მაგრამ ყველაზე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ნუკრი კაკილაშვილს — ასეთ მინდორზე თამაში ცხონებაა.

**— საუკეთესო ვინ იყო?**

— რა თქმა უნდა შელია.

**— დათო შენ როგორ შეაფასებდი შოთას თამაშს?**

— მხოლოდ ერთი სიტყვით — ბრწყინვალე! ამასვე ვიტყოდი შელიას თამაშზეც.

**— სანამ გამოგცვლიდნენ, შოთამ საგოლე პასი მოგაწოდა, შენ კი...**

— ჩინებული პასი იყო, მაგრამ, ჩემი ბრალია, ბურთი არასწორად მივიღე მერე კი დაფიქრები დრო აღარ იყო და მომენტიც გამიცუდდა...

**— ვარჯიშზეც და თამაშზეც ნაღდად ვერ იყავი ჩვეულ იშტაზე...**

— კარგა ხანია, ნაკრებში არ მითამაშია, თანაც, რომ იცოდე, რა ძნელია ამდენი ხნის მერე „დინამოს" სტადიონზე გამოსვლა. ისე, თამაშმა კარგად ჩაიარა, რაც გინდა თქვი და 2:0 მოვიგეთ! მე კი აშკარად შევატყვე ჩემს თავს რომ „ვერ ვიყავი"...

...მარჯვენა ბარძაყზე მუხლის სახსართან კაკლისოდენა განწყვეტილი კუნთის შენაზარდი რომ დავინახე, მაშინღა მივხვდი ყიზილაშვილის „ვერ ყოფნის" ნამდვილ მიზეზს და მეტი აღარ შემიწუხებია, **თემურ ქეცბაიასკენ** გადავინაცვლე. ჯერ მისი მოტეხილი ხელი გამახსენდა, მერე ლავიწი და შემდეგ ის, 23-ში ვარჯიშზე ერთ-ერთი ორთაბრძოლისას ვილაცის იდაყვი შიგ ლავიწში რომ მოხვდა და ტკივილისაგან ლამის გონი დაკარგვინა.

**— ლავიწი როგორ გაქვს?**

— ცოტა მაწუხებდა, მაგრამ ეგ არაფერი, მთავარია, რომ ვითამაშე და მოვიგეთ.

**— ჩვენგან ვის გამოჰყოფდი?**

— ყველას. შეიძლება, სანახაობრივი ფეხბურთი ვერ ვითამაშეთ, მაგრამ ამოცანა შევასრულეთ.

**— შენ გოლზე რას იტყვი?**

— ჯამარაულმა არაჩვეულებრივი პასი მომცა, მეც არაფერი დამრჩენოდა გარდა იმისა, რომ გამეტანა.

...„ინვალიდების" შემდეგ „ჯანმრთელებზე" გადავედი. **ჩიხრაძე** ალბათ ამათშიც გამოსარჩევი იყო ამ მხრივ.

— რა თქმა უნდა, გამარჯვებისთვის ვიყავით განწყობილნი, მაგრამ ზედ თამაშის წინ თურმე რამდენიმე სიურპრიზი გველოდა, აწყობილი შემადგენლობა კინაღამ დაგვეშალა. რევიშვილთანაც გაურკვევლობა მოხდა. ამ თამაშში ერთგვარი რეაბილიტაცია გვსურდა მაყურებლის თვალში და პირველ ტაიმში ეს შევძელით კიდეც, მეორე ტაიმი კი ანგარიშის შენარჩუნებას მოვანდომეთ და აკი თამაშის სანახაობრივი მხარეც დაზარალდა.

ჩიხრაძის მერე **გოგიჩაიშვილი** მოვიხელთე:

— ყველამ კარგად ითამაშა, მაგრამ მე მაინც შელიას, ქეცბაიას და შოთას გამოვყოფდი. ალბანელები არც ისე ხელწამოსაკრავნი იყვნენ, როგორც ტრიბუნებიდან გეჩვენებოდათ, საკმაოდ ჭირდა მათთან თამაში...

უცებ წაფორთხილებული **ლუდუშაური** კინაღამ თავზე დამეცა. მეც მისკენ მივტრიალდი.

— მე თავდამსხმელი ვარ, ოლიმპიურ ნაკრებში ნახევარდაცვაში ვთამაშობ, აქ კი მთელი ფლანგის გაკონტროლება მევალებოდა, დაცვიდან — თავდასხმამდე. თავიდან ცოტა არ იყოს, გამიჭირდა, მაგრამ მერე ნელ-ნელა შევეგუე. მე თუ მკითხავ, ჩვენებიდან ყველა გამოსარჩევია, განსაკუთრებით, შელია.

ძალიან მინდოდა ჯამარაულსაც გავსაუბრებოდი, რადგან მის თამაშში ისეთი მომენტებიც შევნიშნე, აქამდე რომ არ მენახა, მაგრამ გოჩამ, ეტყობა, აქაც „ფინტი" გააკეთა და „ვადამდე" დატოვა გასახდელი, მე კი **დევაძეს** ის ავუსრულე, რაც ალბანელებმა დააკლეს: უკვე დაცარიელებულ გასახდელში მასთან პირისპირ გავედი, კუთხეში მივიმწყვდიე და ინტერვიუც ავართვი.

**— დღეს ოფლი არ გამოგსვლია, შხაპში შესვლაც ასაჩქარებელი არა გაქვს, ამიტომ ჯერ კითხვებზე მიპასუხე...**

— ოფლი კი არა, გაკვირვებული ვუყურებდი, ესენი ნამდვილად ის ფეხბურთელები არიან, ტირანაში რომ ლამის ძელები დაგვამტვრიეს თავზე-მეთქი. ჯარიმები ხომ სასაცილოდ დაარტყეს.

**— მეკარის პოზიციიდან ყველაფერი ხელისგულივით ჩანს, თან არც საქმე გქონია იმდენი, ამიტომ დაკვირვების ყველაზე მეტი დრო შენ გქონდა. რით ახსნი ალბანელთა ასეთ ფერისცვალებას?**

— გულშემატკივრობით. ტირანაში სტადიონზე 15-20 ათასი კაცი იჯდა, უფრო ნაკლები, ვიდრე დღეს თბილისში. მაგრამ, უნდა გენახა და მოგესმინა, რა ყურისწამღებად ღრიალებდნენ. მათმა ყიჟინამ მეორე ტაიმში ისე შეაგულიანა ფეხბურთელები, რომ გაафთრებით შემოგვიტიეს. აქ კი თეატრში მეგონა თავი, ისე იჯდა ოცდაათიათასამდე კაცი, ბოლოსღა ახმაურდნენ.

**— შენი უსაქმურობა ძირითადად ჩვენი დაცვის დამსახურებაა...**

— შელიამ დღეს არავის დაუტოვა შანსი, წინასწარ მეშინია, 9 მაისს ვლადიკავკაზში, შელიას „უკან ყოფნას" შეჩვეული, ჩემი რო[illegible] ყიზილაშვილისა და სულეიმანოვის პირისპირ რომ დავრჩები.

**— შენს ალბანელ კოლეგას თუ დაადანაშაულებდი რომელიმე გოლში?**

— არცერთში. ყველაზე კარგად იმათგან სწორედ მეკარემ ითამაშა. შოთასა და ინალიშვილის ისეთი დარტყმული ბურთები გამოაძრო, შემშურდა...

**— ამ მატჩის წინ, როგორც არასდროს, ისე დაგვრია ხელი ტრავმებმა. შენი აზრით, ბადრი სპანდერაშვილი ვერ მოერგებოდა ჩვენი ნაკრების შუახაზს?**

— სპანდერაშვილი ჩინებული ფეხბურთელია, ვფიქრობ, ღირს მისი გამოცდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ მისი ძირითადი ამპლუა ნახევარმცველობა ან თავდამსხმელთა უკან თამაშია, აქ კი ჩვენ ქინქლაძე, ჯამარაული, ინალიშვილი და სხვა ძლიერი ფეხბურთელები გვყავს.

**— საუკეთესო ვინ იყო ჩვენგან?**

— შელია და შოთა.

**— დღეს ყიზილაშვილის დებიუტი იყო შესარჩევ თამაშებში. შენ როგორ შეაფასებდი მის თამაშს?**

— მე დათოს კარგა ხანია ვიცნობ, ბავშვობაშიც ერთად ვთამაშობდით, „დინამოშიც" და „შევარდენშიც". ეს არ იყო დათოს საუკეთესო თამაში, მაგრამ მარტო მისი მინდორზე ყოფნა ღირდა ერთ რამედ — დათოს მუდამ ორი მცველი იჭერდა, რაც ისედაც ბრწყინვალედ მოთამაშე შოთას ხელ-ფეხს უხსნიდა. ჩემი აზრით, ეს იდეალური დუეტია თავდასხმაში და აწი ასეც უნდა ვითამაშოთ.

**— ქინქლაძის არყოფნა საგრძნობი იყო?**

— რა თქმა უნდა, მიუხედავად იმისა, რომ ჯამარაულმა ამ პოზიციაზე თავისი საქმე გააკეთა. მეტსაც გეტყვი, ასეთი ჯამარაული აქამდე არ მინახავს — გოჩა ინდივიდუალისტიდან გუნდურ მოთამაშედ იქცა. მაგრამ ქინქლაძე ამ პოზიციაზე შეუცვლელია. დღეს რომ იგი ყოფილიყო, ტრიბუნები კიენას არ დაგვცემდნენ მეორე ტაიმში...

მამუკა კვარაცხელია





კაჩაისთან საბედისწერო შეჯახება შელიას ძვირად დაუჯდა



## რუდი ვატა

**— რუდი, მეთანხმებით, რომ დღეს ორივე გუნდმა ცუდად ითამაშა?**

— არა. საქართველო გამარჯვების ღირსი იყო. მისი ორი გოლის წილ ჩვენ ვერაფერი მოვახერხეთ. თქვენებმა განსაკუთრებით პირველ ტაიმში იყოჩაღეს, ჩვენ კი მეორეში გამოვასწორეთ თამაში, მაგრამ რამის შეცვლა მეტად ძნელი იყო. მეტოქე დაცვაში კარგად იდგა.

**— თუ არ ვცდები, თქვენ პირველ შეხვედრაში მარცხენა მცველი იყავით, დღეს კი...**

— პირველ მატჩშიც და დღესაც ლიბეროდ ვითამაშე, ოღონდ მაშინ, გეხსომებათ, ტრავმის გამო ოც წუთში გამომცვალეს. დღეს ჯანმრთელობას არ ვუჩიოდი, მაგრამ...

**— შეხვედრის დასაწყისში თქვენი ნახევრიდან გრძელი პასებით ცდილობდით თავდამსხმელებისთვის ხელსაყრელი მდგომარეობის შექმნას, შემდეგ კი ამ ხერხზე ხელი აიღეთ. რა იყო ამის მიზეზი?**

— დიახ, თავიდან ჩვენი თამაშის აწყობა ვცადეთ, მაგრამ გოლი ძალიან მალე გავუშვით და თანდათან რთულ მდგომარეობაში ჩავვარდით. ჩვენმა ნახევარდაცვამ სუსტად ითამაშა, ამიტომ მცველებს დიდი ჯაფა დაგვადგა. ბუნებრივია, რომ პასებისთვის ველარ ვიცლიდი. საქართველოს ნაკრების 7, 9 და 11 ნომრებმა (ინალიშვილი, ქეცბაია, შოთა არველაძე) დიდი სირთულეები შეგვიქმნეს. მეტსაც გეტყვით, სწორედ ამ სამმა კაცმა მოგვიგო, თამაშს ისინი ქმნიდნენ. მომეწონა კაპიტანიც (შელია), ნამდვილად კარგი მცველია.

**— გუნდური თამაშით უკმაყოფილო რომ ხართ, გასაგებია, საკუთარ თავზე რას იტყვით?**

— მე მცველი ვარ და, შეხვედრა 0:0 რომ დაგვემთავრებინა, ვიტყოდი, პირადად ჩემი საქმე პირნათლად შევასრულე-მეთქი, მაგრამ იმ გუნდის ლიბერო, რომელმაც ორი გოლი გაუშვა, საკუთარი მოქმედებით კმაყოფილი ვერ ვიქნები.

## ალტინ რაკლი

— აკი თამაშამდეც გითხარით, საქართველოს ნაკრები ძლიერი გუნდია და რთული თამაში გველის-მეთქი. ასეც მოხდა, თანაც მატჩის დასაწყისშივე გატანილმა ბურთმა დიდი უპირატესობა მოგანიჭათ. ფაქტობრივად, ამ გოლმა გადაწყვიტა თამაშის ბედი. პირველ ტაიმში მწვრთნელის მითითებისამებრ დაცვას მეტ ყურადღებას ვუთმობდით. მეორე ნახევარში კი, როცა შეტევასაც მივხედეთ, უკვე დაგვიანებული იყო, თანაც ამას ისიც დაერთო, რომ მსაჯმა ასპროცენტიანი პენალტი არ დანიშნა თქვენს კარში, თორემ, ვინ იცის, აქნებ ფრესთვისაც გამოგვეკრა ხელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## VII ჯგუფი

**მოლდოვა 0:3 ბულგარეთი**

სტოიჩკოვის გუნდს უკვე ინგლისში სასტუმროს დაჯავშნა შეუძლია. კიშინიოვში მასპინძლებს ერთი შანსიც არა ჰქონიათ. ანგარიში 29-ე წუთზე კრასიმირ ბალაკოვმა გახსნა, მერე კი ორი გოლი, 54-ე და 67-ე წუთებზე ხრისტომ გაიტანა.

**გერმანია 1:1 უელსი**

აქამდე ჩატარებული უსუსური თამაშების მიუხედავად, მოსალოდნელი იყო, რომ უელსის გამოცდილი ნაკრები ტურნირს კარის გაუჯახუნებლად არ დატოვებდა და ასეც მოხდა: ჩვენთვის ტკბილად მოსაგონარი დიუსელდორფის „რაინშტადიონი" ბრიტანელებმაც წარმატებით დააჭაშნიკეს და ორი ქულა დააკარგვინეს მასპინძლებს. სტუმრებმა პირველივე და როგორც შემდგომ აღმოჩნდა, უკანასკნელი მომენტი გამოიყენეს და მერვე წუთზე სონდერსმა ანგარიში გახსნა. შემდეგ მოედანზე გერმანელები ბატონობდნენ. ჯერ ბასლერის ჩინებულ პასს კლინსმანი მიწვდა, მაგრამ თავით დარტყმული ბურთი ზედა ძელს მოხვდა. 42-ე წუთზე კი ჰერლიხმა ივაჟკაცა — ვებერის 60-მეტრიანი (!) პასი გამოიყენა და ორ მცველთან ჭიდილში შეუჩერებლად დაარტყა — 1:1. მეორე ტაიმში მასპინძლებს ოთხჯერ შეეძლოთ მომგებიანი გოლის გატანა, მაგრამ არ გამოუვიდათ — ციგესა და შოლის დარტყმები საუთჰოლმა მოიგერია, ჰერლიხმა ცარიელ კარს ააცილა, ერთხელაც უელსელთა მცველმა ბურთი ხაზიდან გამოიტანა. მატჩის შემდეგ სტუმართა მწვრთნელს მაიკ სმიტს უთქვამს: იმ კოშმარს, თბილისში რომ დამატყდა, ახლაღა დავაღწიე თავიო.

ეს ფრე ჩვენს ჯგუფში პირველია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 15-2 | 15 |
| გერმანია | 5 | 4 | 1 | 0 | 10-3 | 13 |
| საქართველო | 6 | 3 | 0 | 3 | 8-5 | 9 |
| მოლდოვა | 6 | 2 | 0 | 4 | 5-15 | 6 |
| უელსი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-15 | 4 |
| ალბანეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 5-9 | 3 |

## I ჯგუფი

**პოლონეთი 4:3 ისრაელი**

სამშაბათს ებრაელებმა პირველი დამარცხება იწვნიეს, თუმცაკი ერთობ გაუძალიანდნენ მასპინძლებს. ამათ ანგარიში პიოტრ ნოვაკის გოლით პირველივე წუთზე გახსნეს, მაგრამ ტაიმის ბოლოს უკვე სტუმრები იგებდნენ რონი როზენტალისა (37) და ჰაიმ რევივოს (42) გოლებით. მეორე ტაიმის დასაწყისში პოლონელებმა მხოლოდ ხუთი წუთი აცალეს მეტოქეს და მერე 12 წუთში სამი გოლი გაუტანეს (იუსკოვიაკი, კოვალჩიკი, კოსეცკი). შეცვლაზე შესულმა ზოჰარმა 77-ე წუთზე სხვაობა შეამცირა, მაგრამ გასათანაბრებლად აღარც დრო რჩებოდა და აღარც ჯანი.

**საფრანგეთი 4:0 სლოვაკეთი**

წინა შეხვედრისგან განსხვავებით ფრანგებმა ჟინოლა დაიმატეს და რაც აქამდე დაიკლეს, ნანტში სლოვაკებთან აინაზღაურეს. მასპინძლები ბრწყინვალედ თამაშობდნენ, ანგარიში კი 27-ე წუთზე სტუმართა მცველმა გახსნა ავტოგოლით. ამათ ჟინოლამ (42), ბლანმა (58) და გერენმა (63) სამი გოლი დაუმატეს და რომ მოენდომებინათ, სამ ამდენს კიდევ გაიტანდნენ.

**აზერბაიჯანი 1:4 რუმინეთი**

ტრაპიზონში რადუჩოიუმ ისახელა თავი და ჰეთ-თრიქი შეასრულა. მისი პირველივე წუთზე გატანილი გოლი სულეიმანოვმა სამ წუთში გაქვითა, მაგრამ ფლორინმა დუმიტრესკუს დახმარებით მაინც მიაღწია დიდი ანგარიშით მოგებას.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 13-5 | 14 |
| საფრანგეთი | 6 | 2 | 4 | 0 | 6-0 | 10 |
| ისრაელი | 6 | 2 | 3 | 1 | 10-8 | 9 |
| პოლონეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| სლოვაკეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 8-10 | 5 |
| აზერბაიჯანი | 6 | 0 | 0 | 6 | 2-16 | 0 |

# თურქული ოთხშაბათი

EURO 96 England

**გუშინწინ გამართული მატჩებიდან უპირველესად თურქეთის ნაკრების სენსაციურ გამარჯვებას აღვნიშნავთ: ჩვენ მეზობლებს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის ბრწყინვალე შანსი გაუჩნდათ. საინტერესოა, რომ იმ დღეს თურქული კლუბების სხვა ფეხბურთელებმაც თავი ისახელეს — შოთა არველაძის გოლმა ჩვენების გამარჯვებას ჩაუყარა საფუძველი, „ფენერბაჰჩეს" დანიელმა პეტერ ნილსენმა კი ევროპის ჩემპიონებს მოაგებინა.**

## II ჯგუფი

**სომხეთი 0:2 ესპანეთი**

სუბისარეტამ ერთ კვირაში მეორე იუბილე იზეიმა: „რაზდანზე" ეროვნული გუნდის მაისური მეასეჯერ ჩაიცვა. სომხეთის ნაკრები სულ არა ჰგავს მადრიდის „რეალს" და იუბილარიც მშრალად გამოვიდა. თავის მხრივ სტუმრებმა ორი გოლი შეაგდეს: 49-ე წუთზე ამავისკამ მეკარის შეცდომა გამოიყენა, 14 წუთში კი გოიკოეჩეამ შორიდან ბრწყინვალედ დაარტყა. სომხეთი კვლავ რჩება ერთადერთ გუნდად ყოფილი ესესერიდან, ვისაც ამ ტურნირში გოლი არ გაუტანია. მთელს ევროპაში ამაში მას მხოლოდ ისლანდია ჩამოგავს.

**დანია 1:0 მაკედონია**

საცოდაობა იქნებოდა, პეტერ ნილსენს შეხვედრის დამთავრებამდე ოცი წუთით ადრე ზუსტად რომ არ დაერტყა — ორივე ლაუდრუპის თამადობით მასპინძლებმა მთელი მატჩი შეტევაში გაატარეს.

**ბელგია 2:0 კვიპროსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 6 | 5 | 1 | 0 | 14-3 | 16 |
| დანია | 5 | 2 | 2 | 1 | 6-6 | 8 |
| ბელგია | 6 | 2 | 2 | 2 | 8-9 | 8 |
| მაკედონია | 5 | 1 | 2 | 2 | 5-5 | 5 |
| კვიპროსი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-8 | 5 |
| სომხეთი | 4 | 0 | 1 | 3 | 0-6 | 1 |

## III ჯგუფი

**შვეიცარია 1:2 თურქეთი**

თურქები ბერნში, თავსხმაში მოპოვებული გამარჯვებით ჯგუფის ლიდერად იქცნენ. ჰაქან შუქურმა მე-17 წუთზე გახსნა ანგარიში, 56-ეზე კი ოგიუნმა მეორე შეაგდო. ამათ შუაში, 38-ე წუთზე ჰოტიგერმა შეძლო თურქთა განაწყენება, მაგრამ თამაშის მერე ეს აღარავის ახსოვდა: თურქეთში მთელი ღამე ზეიმობდნენ.

**უნგრეთი 1:0 შვედეთი**

შვედთა მეკარე რაველის პასპორტი დაუკარგია და სანამ საქმეში უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრი არ ჩაერია, უნგრელმა მესაზღვრეებმა ქვეყანაში არ შეუშვეს. თამაშის მეორე წუთზევე კი გაბორ ჰალმაიმ ისეთი დაარტყა, ვერანაირი მინისტრი რაველის ვეღარ უშველიდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-6 | 10 |
| შვეიცარია | 5 | 3 | 1 | 1 | 10-7 | 10 |
| შვედეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-7 | 6 |
| უნგრეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-6 | 5 |
| ისლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 0-7 | 0 |

## IV ჯგუფი

**ლიტვა 0:1 იტალია**

საოცრად უკულტუროდ მოიქცნენ ვილნიუსელი მაყურებლები — იტალიის ჰიმნს ხომ უსტვინეს, არც 23 წლის ფორტუნატოს სახსოვარი წუთიერი დუმილის დროს გაჩერდნენ... და დაისაჯნენ კიდეც — შავი სამკლაურებით მოთამაშე სტუმრებმა სიცხიანი რობერტო ბაჯოს არყოფნა დაივიწყეს და მე-11 წუთზევე გამარჯვების გოლი შეაგდეს — ძოლამ მარცხნიდან ოსტატურად შეასრულა საჯარიმო. მასპინძლებს 66-ე წუთზე მიეცათ გათანაბრების შანსი, მაგრამ პალიუკამ გამოასწორა მალდინის შეცდომა და სკარბალიუსის დარტყმა მოიგერია.

**ესტონეთი 0:1 უკრაინა**

სტუმრებმა ახალი მწვრთნელის, გერმანელი ბერნდ შტანგეს მეთაურობით გაიმარჯვეს. გოლი ჰუსეინოვმა (14) გაიტანა.

**ხორვატია 2:0 სლოვენია**

ჩემპიონატის დებიუტანტმა პროსინეჩკისა (17) და შუკერის (90) გოლებით თითქმის გაინაღდა წასვლა ინგლისში, სადაც, ალბათ, ბევრ ფავორიტს გაამწარებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 6 | 5 | 1 | 0 | 12-1 | 16 |
| იტალია | 6 | 4 | 1 | 1 | 11-4 | 13 |
| ლიტვა | 5 | 2 | 1 | 2 | 4-4 | 7 |
| უკრაინა | 6 | 2 | 1 | 3 | 4-8 | 7 |
| სლოვენია | 5 | 1 | 2 | 2 | 5-5 | 5 |
| ესტონეთი | 6 | 0 | 0 | 6 | 1-15 | 0 |

## V ჯგუფი

**ჩეხეთი 3:1 ჰოლანდია**

იონკმა მე-7 წუთზე შორეული დარტყმით დააწინაურა თავისიანები და პირველი ტაიმიც ასე მორჩა, მაგრამ მეორეში წვიმა წამოვიდა და ედ დე გუისაც გოლების წვიმა დაატყდა თავს — 13 წუთში სკუჰრავიმ (49), ნემეჩეკმა (57) და ბერგერმა (62) სამჯერ იზეიმეს წარმატება.

**ბელარუსი 1:1 მალტა**

თეთრი რუსები მეორე ტაიმის დასაწყისში დაწინაურდნენ, მაგრამ კარაბოტმა თავის გუნდს მეორე ქულა მოუტანა.

**ნორვეგია 5:0 ლუქსემბურგი**

გოლები: იაკობსენი (11), ფიორტოფტი (12), ბრატბაკი (24), ბერგი (46), რეკდალი (52)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 6 | 5 | 1 | 0 | 14-1 | 16 |
| ჰოლანდია | 6 | 3 | 2 | 1 | 15-4 | 11 |
| ჩეხეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 13-4 | 11 |
| ბელარუსი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-10 | 4 |
| ლუქსემბურგი | 6 | 1 | 0 | 5 | 1-18 | 3 |
| მალტა | 6 | 0 | 2 | 4 | 2-13 | 2 |

## VI ჯგუფი

**ირლანდია 1:0 პორტუგალია**

უპრინციპულესი მატჩის ბედი სტუმართა მეკარის ვიტორ ბაიას ავტოგოლმა გადაწყვიტა — სთონთონმა მარცხნიდან ჩააწოდა და ოლდრიჯმა ისე შეაშინა ბაია, ამან ბურთი თავის კარში შეაგორა.

**ლატვია 0:1 ჩრდ. ირლანდია**

სტუმრებს გამარჯვება იან დაუის მეორე ტაიმში გატანილმა პენალტიმ მოუტანა.

**ავსტრია 7:0 ლიხტენშტეინი**

გოლები: კურბაუერი (8), პოლსტერი (11, 53), პურკი (84), პუტერი (87, 90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 5 | 4 | 1 | 0 | 13-1 | 13 |
| პორტუგალია | 5 | 4 | 0 | 1 | 14-3 | 12 |
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 3 | 1 | 2 | 9-9 | 10 |
| ავსტრია | 5 | 3 | 0 | 2 | 17-3 | 9 |
| ლატვია | 5 | 1 | 0 | 4 | 2-12 | 3 |
| ლიხტენშტეინი | 6 | 0 | 0 | 6 | 1-28 | 0 |

## VIII ჯგუფი

**ფარერები 0:4 ფინეთი**

მასპინძლებმა 55 წუთი გაძლეს, მერე კი ფინელებმა იძალეს და ისტორიაში პირველად ჯგუფს სათავეში მოექცნენ.

**საბერძნეთი 0:3 რუსეთი**

26-ე წუთზე მსაჯმა მასპინძლებს კალიცაკისი გაუძევა და ისედაც არაფრის მაქნისები წასაგებად გაამწესა. ნიკიფოროვის და ბესჩასტნიხის გოლებს ბერძენმა მცველმა თავის მხრივ ერთიც დაუმატა.

**სან მარინო 0:2 შოტლანდია**

გოლები: კოლინზი (19), კოლდერვუდი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 15-7 | 12 |
| საბერძნეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 12-4 | 12 |
| შოტლანდია | 6 | 3 | 2 | 1 | 10-3 | 11 |
| რუსეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 8-1 | 8 |
| სან მარინო | 5 | 0 | 0 | 5 | 1-14 | 0 |
| ფარერები | 4 | 0 | 0 | 4 | 2-19 | 0 |

# ინტრიგა

## 24-ე ტური
## 29 აპრილი

წყვილის შემდეგ ფრჩხილებში მითითებულია პირველი წრის შედეგი, შემდეგ სტრიქონში — საერთო ბალანსი ჩემპიონატებში: მოგება (შინ), ფრე, წაგება, ბურთები.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 23 | 19 | 1 | 3 | 61-31 | 58 |
| დინამო | 22 | 18 | 2 | 2 | 89-24 | 56 |
| კოლხეთი | 22 | 16 | 3 | 3 | 48-15 | 51 |
| ბათუმი | 23 | 14 | 5 | 4 | 54-33 | 47 |
| მეტალურგი | 23 | 11 | 6 | 6 | 38-24 | 39 |
| ტორპედო | 23 | 11 | 2 | 10 | 41-36 | 35 |
| ზუგდიდი | 23 | 10 | 3 | 10 | 42-37 | 33 |
| დილა | 23 | 9 | 5 | 9 | 20-23 | 32 |
| იბერია | 23 | 8 | 3 | 12 | 35-37 | 27 |
| შევარდენი | 23 | 7 | 5 | 11 | 26-36 | 26 |
| გურია | 23 | 7 | 5 | 11 | 32-56 | 26 |
| მარგვეთი | 23 | 6 | 5 | 12 | 17-41 | 23 |
| კახეთი | 23 | 5 | 7 | 11 | 25-43 | 22 |
| საპოვნელა | 23 | 5 | 4 | 14 | 28-57 | 19 |
| დურუჯი | 23 | 5 | 1 | 17 | 19-57 | 16 |
| სამგურალი | 23 | 3 | 5 | 15 | 20-55 | 14 |

**სამტრედია—შევარდენი (1:0)**
+4(2) =2(1) -4(1) 16-19 (6-3)

| 11 | FC LIVERPOOL | 3-0 | 3-2 | | 3-1 | 2-3 | 0-0 | 0-0 | 0-1 | 0-1 | 2-0 | ■ | 2-0 | 2-0 | 2-0 | 4-0 | 1-0 | 1-1 | 4-1 | 3-1 | 1-1 | 0-0 | 3-0 |
| 12 | MANCHESTER CITY | 1-2 | 2-2 | 1-3 | 1-2 | 0-0 | 1-1 | 4-0 | 2-0 | 0-0 | 0-1 | 2-1 | ■ | 0-3 | | 2-0 | 3-3 | | 3-2 | 3-3 | 5-2 | 3-0 | 2-0 |
| 13 | MANCHESTER UNITED | 3-0 | 1-0 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 3-0 | 2-0 | 9-0 | 0-0 | 1-1 | 2-0 | 5-0 | ■ | 2-0 | 1-0 | 1-2 | 2-0 | | | 0-0 | 1-0 | 3-0 |
| 14 | NEWCASTLE UNITED | 1-0 | 3-1 | 1-1 | 4-2 | 4-0 | | 2-0 | 1-1 | 1-2 | 3-1 | 1-1 | 0-0 | 1-1 | ■ | 3-0 | 2-1 | 2-1 | 2-1 | 5-1 | | [illegible] | [illegible] |
| 15 | NORWICH CITY | 0-0 | | 2-1 | 3-0 | 2-2 | 0-0 | 0-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | | 1-1 | 0-2 | 2-1 | ■ | | 4-2 | 0-0 | 2-2 | 0-2 | 1-0 | 1-2 |
| 16 | NOTTINGHAM FOREST | 2-2 | 1-2 | 0-2 | 0-1 | 2-0 | 1-0 | 2-1 | 4-1 | 3-0 | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 0-0 | 1-0 | ■ | 3-2 | 4-1 | 3-0 | 2-2 | 1-1 | 3-1 |
| 17 | QUEEN'S PARK RANGERS | 3-1 | 2-0 | 0-1 | 1-0 | 2-2 | 0-1 | 2-3 | 1-2 | 3-2 | 2-0 | 2-1 | 1-2 | 2-3 | 3-0 | 2-0 | 1-1 | ■ | 3-2 | 2-2 | | 2-1 | 0-1 |
| 18 | SHEFFIELD WEDNESDAY | 3-1 | 1-2 | 0-1 | 1-1 | 5-1 | 1-0 | 0-0 | | 1-1 | 1-0 | 1-2 | 1-1 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 1-7 | 0-2 | ■ | 1-1 | 3-4 | 1-0 | 0-1 |
| 19 | FC SOUTHAMPTON | 1-0 | 2-1 | 1-1 | 0-1 | 0-0 | | 2-0 | 3-1 | 1-3 | | 0-2 | 2-2 | 2-2 | 3-1 | 1-1 | 1-1 | 2-1 | | ■ | 4-3 | 1-1 | 2-3 |
| 20 | TOTTENHAM HOTSPUR | 1-0 | 3-4 | 3-1 | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 3-0 | | 1-0 | 0-0 | 2-1 | 0-1 | 4-2 | 1-0 | 1-4 | 1-1 | 3-1 | 1-2 | ■ | 3-1 | 1-2 |
| 21 | WEST HAM UNITED | 0-2 | 1-0 | | 1-2 | 0-1 | 1-0 | 2-2 | 1-1 | 0-0 | 1-0 | | 3-0 | | 1-3 | 2-2 | 3-1 | | 0-2 | 2-0 | 1-2 | ■ | 3-0 |
| 22 | FC WIMBLEDON | 1-3 | 4-3 | 0-3 | 1-1 | 2-0 | 2-0 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 2-1 | | 2-0 | 0-1 | 3-2 | 1-0 | | 1-3 | 0-1 | 0-2 | 1-2 | 1-0 | ■ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

რვაათასიანები

# განრისხებული და




ჩვენი რუბრიკის წინა გამოშვებაში, როცა მოკლედ გაგაცანით ყარაყორუმი, მისი უმაღლესი მწვერვალი ჩოგორი და იქ ასვლათა ცდების ტრაგიკული ისტორია, ისიც ვთქვით, რომ ამ მთების უმაღლეს პიკზე პირველამსვლელები გახდნენ იტალიელები, რომლებმაც 1954 წელს მიაღწიეს მიზანს. ახლა დაპირებისამებრ იმ პირველასვლელთა მოგითხრობთ იმდენს, რამდენსაც ეს გვერდი დაიტევს.

# გულმოწყალე მადონა

იტალიელთა ექსპედიციას სათავეში ჩაუდგა მილანის უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტის 57 წლის პროფესორი, ბუნებისმეტყველი არდიტო დეზიო. გეხსომებათ, იგი ჩოგორიზე 1929 წლის ექსპედიციის მონაწილე იყო და ერთ მთამსვლელთან ერთად 6600 მეტრამდე ავიდა.

არდიტო დეზიო 1954 წლის ექსპედიციისთვის გულისხმით მოემზადა. მან გუნდში შეიყვანა იმ დროისთვის საკმაოდ გამოცდილი და ცნობილი მთამსვლელები: ენრიკო აბრამი, უგო ანჯენილო, ვალტერ ბონატი, აქილე კომპანიონი, კირილო ფლორეანინი, პინო გალოტი, ლინო ლაჩედელი, მარიო პუპოლცი, უბალდო რეი, გინო სოლდა, სერჯო ვიტო და ექიმი გვიდო პაგანი — ისიც მთამსვლელი. ექსპედიციაში შედიოდა სამეცნიერო ჯგუფის ოთხი წევრიც, აგრეთვე ერთი კინოოპერატორი და კიდევ ორი პაკისტანელი — მეთვალყურე და მისი ასისტენტი. ყველა მათგანს მეტნაკლები ალპინისტური გამოცდილება ჰქონდა.

ეს მართლაც ფუნდამენტურად მომზადებული ექსპედიცია იყო. მას ჰქონდა იმ დროისთვის ძალზე მაღალხარისხოვანი და მსუბუქი საჭურველი, მაღალკალორიული საკვები. მიუხედავად იმისა, რომ მთამსვლელები ბევრს ეცადნენ, რათა ბარგი მაქსიმალურად შეემსუბუქებინათ, ექსპედიცია მაინც არნახულად მძიმე გამოდგა. ამიტომ მათ შვიდასამდე ბალტი მებარგულის დაქირავება მოუხდათ. იტალიელთა ამ უშველებელმა ქარავანმა სკარდოდან საბაზო ბანაკამდე ჯერ ...ანქება სიცხეში, მერე კი ბარაქიან თოვაში თავგადასავლებით აღსავსე 200 კილომეტრი გაიარა და სიმაღლეში 2800 მეტრამდე ავიდა.

მთამსვლელებმა საბაზო ბანაკი, რომელსაც 25 მაისს მიაღწიეს, გოდუინ ოსტინის მყინვარის ენის დასაწყისში დასცეს. მწვანედ ალაპლაპებულ ყინულზე, რომელსაც ლოლოები ამშვენებდა, ნიშა გამოჭრეს და იქ დიდი ამბით დააბრძანეს წმინდა მადონას პატარა ქანდაკება, რომელიც მათ, როგორც თილისმა, მილანის კარდინალმა ილდეფონზო შუსტერმა გადასცა.

აბა, რა იცოდნენ მაშინ მთამსვლელებმა, რომ მათი წმინდა მადონა თავდაპირველად ძალზე შემოსწყრებოდათ, მეგობრის სიკვდილით თავზარს დასცემდათ, მერე კი გულმოწყალედ გადმოხედავდათ და მრავალ ხიფათსაც გადაარჩენდათ.

მაგრამ, მოდით, თანმიმდევრულად მივყვეთ იტალიელებს და მთამსვლელებთან ერთად გავიზიაროთ მათი ჭირი და ლხინი.

30 მაისს 5400 მეტრ სიმაღლეზე გაჩნდა პირველი ბანაკი, სადაც მებარგულებმა საბაზოდან ტონანახევარი ტვირთი ზიდეს. სხვა კარვების დადგმა და აღჭურვაც სწრაფად მოხდა. ასე გაგრძელდა მეხუთე ბანაკამდე, რომელიც 7000 მეტრს სიმაღლეზე დასცეს. ასეთი სწრაფი ტემპი იტალიელთა გამჭრიახობამაც განაპირობა. მათ პირველიდან მესამე ბანაკამდე ხელის ჯალამბარი მოაწყეს და მისი საშუალებით ჯერ 300, მერე კი 600 მეტრის მანძილზე მესამე ბანაკამდე 20 კილოგრამამდე ტვირთი სულ რამდენიმე წუთში აჰქონდათ. როცა, წინა ექსპედიციები ამ მონაკვეთის დაძლევას მძიმე ზურგჩანთებით ერთ დღეს ანდომებდნენ, იტალიელებმა კი ორი დღის დაძაბული მუშაობით თოკიან „უნაგირზე" მთელი ბარგი-ბარხანა აზიდეს, რამდენიმე კარავი დადგეს და აღჭურვილობით, საჭურველითა და პროდუქტით აავსეს.

4 ივნისს მოულოდნელად თოვლიანი ქარბუქი ამოვარდა. გაცოფებული ქარიშხალი ზოგჯერ ისეთი ძალით უბერავდა, რომ მთამსვლელები შიშობდნენ, ვაითუ ეს კარვები ჩვენთან და ჩვენ ბარგთან ერთად ჰაერში არ აიტაცოსო. ყინვამაც მოუჭირა და იგი მინუს 15-20 გრადუსამდე დაეცა. ასეთმა ამინდებმა კარგა ხანს გასტანა და ამიტომ მთამსვლელები ზოგიერთ დღეს კარვებიდან ცხვირსაც ვერ ყოფდნენ. ამიტომ 18 ივნისისათვის მათ „ჰაუსის ბუხარი" ჯერ კიდევ დასამუშავებელი ჰქონდათ.

იმ დღეს რამდენიმე მთამსვლელმა თავი შეუძლოდ იგრძნო. მათ ძირითადად ყელის ტკივილი აწუხებდათ. ამიტომ ბონატი და გალოტი პირველ ბანაკში დაეშვნენ, პუპოლცმა კი უარი განაცხადა საბაზოში ჩასვლაზე და მეორე ბანაკში დარჩა, რადგან ყელის ტკივილი ზედა ბანაკებში ჩვეულებრივი რამ იყო, რამდენიმე დღეში კი უყუჩდებოდათ. პუპოლცის ყელის ტკივილი ექიმ პაგანისაც საგანგაშოდ არ ჩაუთვლია, მაგრამ ისიც იქ დარჩა და მეგობრის განსაკურნებლად ყველა ღონეს ხმარობდა. მეორე დღეს პუპოლცს ძალზე გაუჭირდა სუნთქვა, მაგრამ იმ სიმაღლეზე მყოფი ადამიანისთვის მაჯისცემაც ნორმალური ჰქონდა და არც სიცხე აწუხებდა. სალამოსაც ასე იყო და ნორმალურადაც ჭამა. ღამით, როცა მეგობრისთვის წამლის მოსამზადებლად პაგანიმ ფარანი აანთო, ელდა ეცა: პუპოლცი უკვე აგონიაში იყო და მალე სულიც დალია.

პუპოლცის სიკვდილიდან მთელი ორი დღე ქარბუქი მძვინვარებდა. ბოლოს, მიუხედავად ასეთი ამინდისა, მთამსვლელთა ნაწილი პუპოლცის ჩამოსასვენებლად გაემართა, ნაწილმა კი საფლავის მომზადება დაიწყო. მთამსვლელებმა პუპოლცი საძილე ტომარაში ჩაასვენეს და თოკებით დაცურება დაიწყეს. მოულოდნელად ანჯენილო ნაპრალში ჩავარდა, მაგრამ, საბედნიეროდ იგი თოკში იყო ჩაბმული და ვარდნისას მძიმედ არ დაშავებული. როცა თოკებით ჯახირის მერე ამოიყვანეს, სამგლოვიარო პროცესიამ საბაზოსკენ განაგრძელა გზა. პუპოლცი წინა წელს ჩოგორის ფერდობზე დაღუპული ამერიკელი გილკის მემორიალურ დაფასთან პატივით მიაბარეს სამუდამო სასუფეველს. მაგრამ ჩვენი მეგობრისთვის ყველაზე დიდი პატივი ჩოგორიზე გამარჯვება იქნებაო, იფიქრეს იტალიელებმა და გადაწყვიტეს თავიანთი ასვლა მარიო პუპოლცისთვის მიეძღვნათ. ახლა მეტი ენერგიით უნდა განახლებულიყო იერიში, მეგობრის საფლავის ქვაზე ჩოგორიზე პირველასვლის თარიღი რომ ამოეტვიფრათ.

და აბრუცის ქედზე მოძრაობაც განახლდა. განახლდა და ახლა ყურის საშინელმა ტკივილმა აიძულა კომპანიონი საბაზოში დაბრუნებულიყო. მერე მესამე ბანაკის (6300 მ) ქვემოთ ფლორეანინი ხიფათს გადაეყარა. იმ ადგილზე იყო 10-მეტრიანი კედელი, რომელზეც წინა წელს ამერიკელთა მიერ დატოვებული თოკები ეკიდა. დაშვებისას ფლორეანინი ერთ-ერთ თოკს ჩაეჭიდა, მაგრამ მისმა დამჭერმა პალოებმა უმტყუნა და ისინი შამპანურის საცობივით ამოვარდნენ. ციცაბო ფერდობზე დავარდნილმა მთამსვლელმა თავი ველარ შეიმაგრა და 250 მეტრით დაგორდა. იქ, ზედ უფსკრულის პირზე, ბედად შეჩერდა და დაქვეითობით გადარჩა.

მაგრამ ბრძოლა გრძელდებოდა.

24 ივლისს კომპანიონი, ლაჩედელი, ბონატი, გალოტი და რეი 7500 მეტრზე ორდღენახევარში მძიმე ზურგჩანთებით ადიან და მეშვიდე ბანაკს დგამენ. კიდევ ერთი დღის მერე ყინულის კედლის ძირში მერვე ბანაკიც (7740 მ) მზადა აქვთ. 29-ში ლაჩედელი და კომპანიონი იმ ყინულის კედელს უტევენ, მაგრამ იგი მეტად რთული დასაძლევი ჩანს. მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ 100 მეტრით ადიან ზემოთ, მომდევნო დღეს კი 8050 მეტრს აღწევენ და დგამენ მეცხრე ძირითად საიერიშო ბანაკს. დღის მეორე ნახევარში უკვე დამუშავებულ მარშრუტზე აბრამი, ბონატი, მებარგული მაჰდი ამაოდ ცდილობენ მერვე ბანაკში საკვებისა და ჟანგბადის ატანას. აბრამი შუაგზიდან ბრუნდება, უსაძილეტომრო ბონატისა და მაჰდის კი ბინდი ზედ ყინულის კედელზე ეპარებათ. ისინი იქ გამოქვაბულს თხრიან და ღამესაც იქვე ცახცახით ათენებენ. კომპანიონისა და ლაჩედელის თუმცა კარავიც აქვთ და ბუმბულის ქურთუკებში, ბუმბულის შარვლებში და ბუმბულისავე საძილე ტომრებში არიან ჩაფუთნულნი, მაინც აძაგძაგებთ. თან იმაზე ნერვიულობენ, რომ მეგობრებმა მათთან საკვებისა და ჟანგბადის ატანა ვერ შეძლეს, თუმცა მათ ეს ყველაფერი თითქმის მეცხრე ბანაკამდე ამოუტანეს.

გეგმით ჟანგბადით სარგებლობა 7300 მეტრიდან უნდა დაეწყოთ, მაგრამ უამინდობამ საშუალება არ მისცათ ჟანგბადის ბალონები იქ აეტანათ. ამიტომ მეცხრე ბანაკამდე უჟანგბადოდ არიან, თუმცა, უიმისოდაც თავს კარგად გრძნობენ.

კომპანიონიმ და ლაჩედელიმ იციან, რომ 1939 წელს ამ სიმაღლეზე სამჯერ გაატარეს ღამე ვისნერმა და პაზანგ დავა-ლამამ და უჟანგბადობას არც ისინი შეუწუხებია. ისიც იციან, რომ მაშინ ამერიკელებს აქ, 8400 მეტრ სიმაღლეზე წინ აღუდგათ კედელი, რომელიც ახლა მათ ცხვირწინაც აყუდებულია.

ინათა თუ არა, დილის 5 საათზე კომპანიონი და ლაჩედელი 50 მეტრით ქვემოთ ჩამოვიდნენ, იქიდან აიღეს მეგობრების მიერ ამოზიდული ჟანგბადის ბალონები, საკვები და კვლავ მეცხრე ბანაკში დაბრუნდნენ, აქედან კი გადამწყვეტი იერიშიც იწყება.

7 საათი და 15 წუთია. ქვემოდან ნისლი იპარება და ამინდი თითქოს ფუჭდება. მთამსვლელბს თავში ათასი აზრი უტრიალებთ. იქნებ ასვლაზე უარი ვთქვათო, მაგრამ იმაზე ფიქრი, რომ სალამოს ისევ ამ ადგილზე შეიძლება ჩოგორიზე გამარჯვებული იდგნენ, ყოველგარ ყოყმანს წერტილს უსვამს.

და იერიში იწყება.

ალბათ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ რა აცვიათ ასეთ დროს მთამსვლელებს, რა მიაქვთ თან?

კომპანიონისა და ლაჩედელის ჰქონდათ 30 მეტრი თოკი, წერაყინები, წრიაპები, პატარა რადიოსადგური და ავთიაქი, ჯიბის ფანარი, ფოტოაპარატი, შაქარი, კანფეტები; მათ ეცვათ: ორი წყვილი შალის წინდა, რეზინისძირიანი, პროფილირებული ორმაგი სამთო ფეხსაცმელი, რომლებსაც შგნიდან ირმის ბეწვიანი ტყავი ჰქონდა გამოკრული, თბილი შალისაგან შეკერილი გრძელი კალსონები, ერთი თბილი, მეორე კი ძალიან მსუბუქი ქარგაუმტარი შარვალი, თითო შალისა და ბამბის პერანგი, შალის სვიტერი, ბუმბულის ქურთუკი და მსუბუქი, ასევე ქარგაუმტარი ანარაკი. თავზე ეხურათ ბეწვის ყურებიანი ქუდი და ქარგაუმტარი ანარკის კაპიუშონი; თითო შალისა და ბეწვის ხელთათმანები; ორი წყვილი სათვალე. მათ ზურგზე მოკიდებული ჰქონდათ რკინის „სადგარი", რომელზეც სამ-სამი ჟანგბადის ბალონი იყო დამაგრებული. მათი საერთო წონა 19 კილოგრამს აღწევდა. ეს წონა, 8000 მეტრის ზემოთ, მათივე სიტყვებით, მომაკვდინებელი იყო.

ჟანგბადის მოწყობილობა სუნთქვას აიოლებდა, მაგრამ მათი წონა, გარდა იმისა, რომ წელში წყვიტავდა მთამსვლელებს, ყოველი სიმძიმის ცენტრის დარღვევისას წონასწორობასაც აკარგვინებდა, მითუმეტეს თოვლი ფხვიერი იყო და ხშირად წელამდეც ეფლობოდნენ. ყოველი ნაბიჯი დიდ ენერგიას ართმევდათ, მაგრამ მწვერვალზე ფიქრი და პუპოლცის საფლავზე დადებული ფიცი მათ ენერგიას უორკეცებდა.

როგორც იქნა, ისინი საკვანძო კედლის ძირში ავიდნენ. იქიდან ადიოდა თოვლით ამოვსებული ყინულოვანი კულუარი, სადაც 15 წლის წინათ ვისნერმა გაიარა. მაგრამ მაშინ კულუარში მხოლოდ ყინული იყო, ახლა კი მისი დაძლევის ცდა სიგიჟე იქნებოდა. ამიტომ კულუარიდან მარცხნივ გადაუხვიეს, მაგრამ იქაც ვერას გახდნენ. ორი საათის ჯახირის მერე კომპანიონი კედელზე ცდილობდა ასვლას, მაგრამ წრიაპებმა კლდეზე ვერ მოიკიდეს კბილი და ჩამოვარდა. ბედად ფხვიერ თოვლში ჩაეფლო და არაფერი დაშავებია. ახლა ლაჩედელიმ სცადა ბედი. მან წინასწარ წრიაპებიც მოიხსნა და ხელთათმანებიც წაიძრო. ამგვარად მას 30 მეტრიანი კლდის დაძლევა შედარებით გაუადვილდა, მერე კლდე ყინულოვანმა მონაკვეთმა შეცვალა და წინ ისევ კომპანიონი გავიდა.

ლაჩედელისა და კომპანიონის სიტყვები: „ეს მონაკვეთი კ-2-ის მარშრუტზე ყველაზე რთულია". „თუ ამ მონაკვეთს დოლომიტების კლდეებისას შევადარებთ, ისინი მესამე კატეგორიაზე რთული არ იქნება, მაგრამ 8000 მეტრის ზემოთ მესამე კატეგორიის სირთულის კლდეები ყოველგვარ შეფასებას ...ბა".

ამ მონაკვეთის დაძლევაზე მათ დიდი დრო და ენერგია დახარჯეს. მათ დაკარგეს დროის შეგრძნებაც. საათზე რომ დაეხედათ, ამის თავიც აღარ ჰქონდათ, რაკი არც ეს საქმე იყო იოლი — მათ ხომ კომბოსტოსავით მრავალფენიანი სამოსი ფარავდათ.

რაკიღა ამ სიმაღლეზე მხოლოდ ეს ორი მთამსვლელია და მაყურებელიც არა ჰყავთ, ისევ მათ დავუთმოთ სიტყვა:

„უცებ რამდენიმე წამით რაღაც საშიში გრძნობა გვიპყრობს — ჰაერი აღარ გვყოფნის, ვიხუთებით, სიცხე თავში გვირტყამს. ფეხები გვიცახცახებს, ფეხზე დგომა თითქმის აღარ შეგვიძლია, სადაცაა გრძნობას დავკარგავთ.

ერთხანს ძალიან შეგვეშინდა, მერე კი მივხვდით, რომ მესამე ჟანგბადის ბალონიც დაიცალა. ნიღბებს ვიგლეჯთ, რამდენჯერმე ღრმად ვსუნთქავთ და ვგრძნობთ ენერგია გვიბრუნდება".

მთამსვლელთა გასაკვირად აღმოჩნდა, რომ ჟანგბადის ბალონების გარეშეც შეიძლება სუნთქვა და მოძრაობა, მწვერვალის სიახლოვე და ამინდის გამოკეთება კი მათ ენერგიას მატებთ.

„მაგრამ უცებ შიში გვეუფლება — ასეთ სიმაღლეზე საერთოდ ვართ კი ჭკუაზე? ფანტაზია ხომ არ არის, რომ ზემოთ მივდივართ. მთამსვლელები, რომლებსაც 8000 მეტრის ზემოთ უჟანგბადოთ უვლიათ ამბობენ, რომ ჰალუცინაციები ემართებოდათ, აბდებდათ, ზოგჯერ გონება ებინდებოდათ და ყველაფერ ავიწყდებოდათ. ხომ შეიძლებოდა ეს ჩვენც დაგვმართოდა?"

არა, ლაჩედელისა და კომპანიონის გონება არ დანისვლიათ. ამაში მაშინ დარწმუნდნენ, როცა „ტესტები" მოიგონეს და ერთმანეთი გამოცადეს.

მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ცარიელი ჟანგბადის ბალონები ზედმეტი ბარგი გახდა, ისინი მაინც არ მოუხსნიათ. ჯერ ერთი, მათ მოსაცილებლად ციცაბო ფერდობზე უნდა დაწოლილიყვნენ, რაც მეტად მომქანცველი და სახიფათო იყო, მეორეც, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მწვერვალთან სულ ახლო იდგნენ და დროის დაკარგვა არ უნდოდათ, მითუმეტეს მზემ ჩასვლა დაიწყო, მესამეც — უნდოდათ ბალონები მწვერვალზე დაეტოვებინათ იმის დასტურად, რომ ისინი ჩოგორიზე პირველამსვლელები იყვნენ.

იმაში, რომ მწვერვალი ახლოსააო, მოტყუვდნენ. ყოველი ოთხი ნაბიჯის მერე სულისმოსათქმელად თოვლში ჩარჭობილ წერაყინს ეყრდნობოდნენ. ეჩვენებოდათ, საცაა გული მკერდიდან ამოვარდებაო. ტემპერატურა, მათი აზრით, მინუს 40 გრადუსამდე დაეცა. კიდევ კარგახანს იარეს. მერე ქედი დავიწროვდა და ფერდობის დახრილობამაც იკლო. ფხვიერი თოვლიც გამკვრივდა და ჰორიზონტალური გახდა.

„ირგვლივ ვიყურებით და საკუთარ თვალებს არ ვუჯერებთ. იმის მერე, რაც თვეობით სულ მთაზე ავდიოდით, აღმოჩნდა, რომ ასასვლელი აღარსაითაა, ჩვენს ზემოთ მხოლოდ სუფთა ცაა".

მწვერვალი იმხელა აღმოჩნდა, რომ მასზე თავისუფლად დაეტეოდა ასი კაცი.

ისინი, ჩოგორიზე პირველამსვლელები — 29 წლის ლინო ლაჩედელი და 40 წლის აქილე კომპანიონი — ნახევარი საათით ტკბებიან ყარაყორუმის გოლიათთა ჭვრეტით. მერე კი იყო დაშვება, ვარსკვლავების შუქზე სიარულიც, ორივე მთამსვლელის ვარდნა, გადარჩენა, ისევ ვარდნა და გადარჩენა. იყო მერვე ბანაკში დამხვედურთა ყიჟინაც. მერე კი, როცა ყველამ ერთად მერვე ბანაკი დატოვა და თითქოს სირთულეები უკან დარჩა, ძალაგამოცლილ კომპანიონს მკვრივ თოვლზე ფეხი დაუსხლტა, დავარდა და 200 მეტრით ტყვიასავით ქვემოთ გავარდა. იქ 200 მეტრის ქვემოთ, ორკილომეტრიანი უფსკრული გარინდებულიყო. კომპანიონი თოკში ჩაბმული არ იყო და მის გახევებულ მეგობრებს ისღა დარჩენოდათ განწირულისთვის თვალი ჩაეყოლებინათ, მაგრამ წმინდა მადონამ განსაცდელისაგან ისინი ამჯერადაც დაიფარა — კომპანიონი მკვრივი თოვლიდან ფხვიერში შევარდა და ლურსმანივით ჩაერჭო, რამდენიმე მეტრის იქით კი ხახადალებული უფსკრული იყო.

ავთანდილ გურასაშვილი





ლინო ლაჩედელი და აქილე კომპანიონი მწვერვალზე

# III ეტაპი

30 აპრილი. სან-მარინოს „გრან-პრი".

ენცო და დინო ფერარების ავტოდრომი

წრის სიგრძე 5040 მ. 61 წრე (307,44 კმ)

სიჩქარის რეკორდი წრეზე — 215,1 კმ-სთ (დეიმონ ჰილი, „უილიამსი", 1994)



ბოლო 5 რბოლის პრიზიორები:

1994 მიხაელ შუმახერი (ბენეტონი), ნიკოლა ლარინი, მიკა ჰაკინენი
1993 ალან პროსტი (უილიამსი), შუმახერი, მარტინ ბრანდლი
1992 ნაიჯელ მენსელი (უილიამსი), რიკარდო პატრეზე, აირტონ სენა
1991 სენა (მაკლარენი), გერჰარდ ბერგერი, ჯი-ჯი ლეჰტო
1990 პატრეზე (უილიამსი), ბერგერი, ალესანდრო ნანინი

ბოლონიიდან ოცდაათიოდე კილომეტრით დაცილებულ იმოლაში „ფერარების" საკუთარი ავტოდრომი შარშან მაისამდე ერთ-ერთ ყველაზე უხიფათოდ ითვლებოდა და არა მხოლოდ იტალიაში, მაგრამ გასულ წელს დატრიალებულმა უბედურებამ, როცა ჯერ საშინელ ავარიაში მოყვა ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო და მხოლოდ სასწაულით გადარჩა, მერე კი შაბათის კვალიფიკაციაში ავსტრიელი როლანდ რაცენბერგერისა და კვირას უშუალოდ რბოლაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის, ბრაზილიელი აირტონ სენას დაღუპვამ „იმოლა" ლამის უმთავრეს სასაკლაოდ აქცია.

გადაბრუნებული ურმისა არ იყოს, მაშინღა დაფაცურდა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობა. აღმოჩნდა, რომ არც ისე „უწყინარი" ყოფილა მარცხენა ჩქაროსნული მოსახვევი „ტამბურელო", რომელმაც სენა იმსხვერპლა, და წრის კიდევ რამდენიმე მონაკვეთი. უსაშველოდ გაჭიანურებული გამოძიებისა და ტრასის არაერთი რევიზიის გამო „იმოლაზე" წლევანდელი რბოლის ჩატარება კარგა ხანს საეჭვო იყო, მაგრამ ბოლოს ზოგიერთი მოსახვევის რადიკალური რეკონსტრუქციისა და სხვა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სამუშაოების შემდეგ ტრასა ვარგისად სცნეს და ჯუჯა სან-მარინოელებსაც შეუნარჩუნდათ თავიანთი „დიდი პრიზი".

გარშემო იტალიის ტერიტორიით მოცული ეს ერთი ციცქნა ქვეყანა, რომელიც ფაქტობრივად მთაზე გაშენებული დიდი სოფელია, 1981 წლიდან ატარებს ფორმულის რბოლებს. პირველი გამარჯვება ბრაზილიელმა ნელსონ პიკემ მოიპოვა „ფორდის" ძრავიანი „ბრებჰემით". ყველაზე მეტი — სამ-სამი მოგება აქვთ სენას და ფრანგ ალენ პროსტს.

„იმოლას" წრე საკმაოდ ჩქარია. ამასთან, ევროპაში ის ერთადერთი ტრეკია, სადაც რბოლა ამერიკის მსგავსად, საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით მიდის. ეს კი დამატებით სირთულეებს უქმნის პილოტებს.

ახლად დაწესებული „სარბიელის სინისათვის": დღეს, 28 აპრილს, 5 საათზე, ვაკეში ითამაშებენ „თბილისი" და „გუმარი".

იჩქარეთ დიდი რაგბის დასაჭაშნიკებლად!

გამოიცა და მალე გაიყიდება ქართველ მორაგბეთა საყვარელი წიგნი — „რაგბის თამაშის წესები", რომელიც „სარბიელის" რაგბის მიმომხილველს ინგლისურიდან უთარგმნია და ფირმა „გუმარის" ხარჯით დაუბეჭდვინებია.



მიმზიდველი იერი, წესების გადმოცემის დახვეწილი სტილი და თარგმანის ზარაქიანი, ტკბილი ქართული „რაგბის თამაშის წესებს" უთუოდ მიაპყრობს სულითა და ხორცით მორაგბეთა, წიგნების შემგროვებელთა და კანონთა კითხვის მოყვარულთა ყურადღებას.

## რაგბი

# რადუს ჯინაზე



ამ შეჯიბრის მიმოხილვის ბოლოთქმად შარშან ირონიულად შევნიშნეთ, გაისად, 1995 წელს, ჩემპიონატი რუმინეთში გაიმართება, რაც ჩვენებს მორიგი სატრანსპორტო ექსპერიმენტის ჩატარების შანსს მისცემსო. სახელდობრ, ბათუმს ავტობუსით ჩავლენ, იქიდან კი კონსტანცაში გემით მიცურდებიანო. მაშინ ამაზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ მორაგბეები გატანჯა უკრაინიდან საფრანგეთამდე და პირუკუ „იკარუსით" ჯაყჯაყმა.

ჩვენი ვარაუდი ნაწილობრივ გამართლდა. მიზეზი ქართული რაგბის ახალი უფროსობის ფხაშია საძიებელი. მათ ამ ერთი თვის წინ უკვე დაამუღამეს თურქეთის ტრანზიტი „მერსედესის" ავტობუსით, კაცთა ნაკრები ბულგარეთს რომ მიავლინეს. საქართველოდან რუმინეთს ჩასვლა შესწავლილი მარშრუტის ოდენ განვრცობა იყო, ამიტომაც ჩვენებმა ნაცადი ხერხი ამჯობინეს ახალი გზების გაკვალვას.

ავტობუსი თბილისიდან 6 აპრილს გავიდა და დელეგაციის ხელმძღვანელებიანად ქუთაისში ჩააკითხა ჩვენს ჭაბუკთა ნაკრებს, რომელშიც თბილისელ მწვრთნელ ლევან მგელაძესა და მის ქუთაისელ თანაშემწე დიმიტრი ფულარიას ბიჭები ერთბაშად რვა კლუბიდან ეხმოთ: „ქორებიდან" — ხუთი, „რაშიდან" და „აიეტიდან" — ოთხ-ოთხი, „ყოჩებიდან", „თბილისიდან" და „აზოტიდან" — ორ-ორი, „ლელოდან" და „აიადან" — თითო. წინა წლებისგან განსხვავებით, ეს უკვე ჭეშმარიტად საქართველოს ნაკრები იყო.

ქუთათურებს დიდებულად ემასპინძლათ ნაკრებისთვის — საჭმელი ხომ არ მოეკლოთ და ცხელი შხაპიც კი გაეხერხებინათ. მოთამაშეები ასეთ პირობებში ვარჯიშით მოღონიერდნენ და გუნდადაც შეიკრნენ. ამას ხელი შეუწყო საწვრთნელმა თამაშებმაც, ქუთაისის სამივე გუნდმა ცალცალკე რომ გაუმართა ნაკრებს. ერთი ეგ იყო, ერთ პატივცემულ სპარინგ-პარტნიორს „ბოვშებთან" წაგება თურმე არა სურდა და ცოტა დაუკრეფავშიც გადასულა, ბოლოს კი ამ გუნდის მწვრთნელები საჯაროდ ერთმანეთსაც (!?) შებმიან.

ასე კარგად გაწვრთნილი გუნდი საქართველოს ბოლო წლებში არა ჰყოლია. ნაკრები კი დაადგა რუმინეთის გზას, მაგრამ საეჭვოი იყო შეჯიბრში მონაწილეობა, რაკილა „მსოფლიო ჩემპიონატის" ორგანიზატორ ფირა-ს ჩვენებისთვის პარიზიდან მოეწერა, დასტური დაგვიგვიანეთ, ამიტომ მონაწილეთა სიიდან ამოგშალეთ და წილისყრის დროსაც გამოგტოვეთ, თამაშთა განრიგში კი თქვენი ციმციმ ჩამატება შეუძლებელიაო.

ჩვენებმა გარისკეს, არც ხარჯს შეუშინდნენ და მაინც ჩავიდნენ შეჯიბრების ადგილზე, ვინაიდან თავიანთი სიმართლე და ზოგიერთი უცხოელი მოღვაწის კეთილგანწყობა სწამდათ. საქმე კი ასე იყო: ჩვენმა რაგბის კავშირმა არაერთხელ დაუდასტურა მონაწილეობა შეჯიბრების რუმინელ ორგანიზატორ რადუ დემიანს, რომელიც იმავდროულად ფირას თანა-მდივანიცაა, სხვაფრივ კი საკმაოდ ოდიოზური პიროვნებაა: საქართველოში ორჯერ ყოფილა, თავი ჩვენი რაგბის მამების უფროსი თაობის წარმომადგენლების ძმობილადაც მოაქვს, ისე კი ერთი მემრუშე ვინმეა და ხიზილალითა და ელექტრობურღებით სპეკულაციის დიდოსტატიცაა.

აი, ასეთი კაცი ჩვენებს ჩააცივდა, თუ ჩემპიონატზე ჩამოსვლა გინდათ, აუცილებლად ჩემს მიერ შეკვეთილ ძვირ სასტუმროში უნდა იცხოვროთ და გარდა ამისა, საწინდრად ათასი დოლარიც უნდა გადმომირიცხოთო. ამაზე ჩვენებმა რადუს რამდენჯერმე მიუგეს, რომ თავად იქირავებენ თავისთვის ხელმისაწვდომ საცხოვრისს, ათას დოლარს კი შეჯიბრების ადგილზე ჩასვლისთანავე გადაიხდიან, ვინაიდან იმ დროს ამდენი ფული არა ჰქონდათ. სხვათა შორის, ჩვენი ნაკრების უფროსობა ზუსტად ასე მოქცეულა 1993 და 1994 წლებში, მაგრამ ფრანგ მასპინძლებს ამის გამო საყვედურიც არ დასცდენიათ.

რუმინელი რადუ კრიჟანგ ფრანგებზე წუწურაქი და მუხთალი გამოდგა, ჩვენი ვეტერანების ძმობა ხომ სულ მთლად დაივიწყა და თავის პარიზელ შეფებს ჩვენების დასტური დაუმალა, მაგრამ ქართველები უსამართლობას არ შეეპუენ და ბუქარესტში კადნიერად გამოუცხადდნენ ფირას მოხელეებს, თანაც უკანასკნელი ფაქსით ფირას სასამართლოში ჩივილით დაემუქრნენ, თუკი ეს უბადრუკი ორგანიზაცია მაინც გაჯიქდებოდა და რაგბის სათამაშოდ შორიდან ჩასულ გუნდს შეჯიბრებაზე არ დაუშვებდა. ბოლოსდაბოლოს, ფირა ხომ სწორედ იმით ამაყობს, რომ შეჯიბრს ბოგანო, განვითარებადი ქვეყნების ასაყოლიებლადა და საკეთილდღეოდ მართავს და არა მავანი ფუნქციონერების ან რომელიმე ქვეყნის რაგბის ფედერაციის ჯიბის გასასქელებლად. ასე რომ, ბუქარესტის ტურნირში მონაწილეობა ჩვენების უზენაესი უფლება იყო და ქართველებმაც თულფი („კოზირი") მარჯვედ გამოიყენეს.

**ჭაბუკთა 27-ე „მსოფლიო პირველობა"**
**ბუქარესტი, 1995 წელი**

**„ა" ჯგუფი**

პირველი ქვეჯგუფი (10, 11, 12. IV). სამხრეთი აფრიკა — პოლონეთი 61:6, ესპანეთი — პოლონეთი 22:8, სამხრეთი აფრიკა — ესპანეთი 36:14

მეორე ქვეჯგუფი. იტალია — პორტუგალია 34:10, ურუგვაი — პორტუგალია 17:12, იტალია — ურუგვაი 14:0

მესამე ქვეჯგუფი. საფრანგეთი — რუმინეთი 27:27, რუმინეთი — უელსი 22:15, საფრანგეთი — უელსი 36:10

მეოთხე ქვეჯგუფი. არგენტინა — რუსეთი 32:6, შოტლანდია — რუსეთი 35:0, არგენტინა — შოტლანდია 43:3

ნახევარფინალები (14. IV). I-IV ადგილებისთვის: არგენტინა — სამხრეთი აფრიკა 20:13, საფრანგეთი — იტალია 24:0. V-VIII: შოტლანდია — ესპანეთი 41:7, რუმინეთი — ურუგვაი 28:8. IX-XII: რუსეთი — პოლონეთი 15:6, უელსი — პორტუგალია 28:8

ფინალები (16. IV). I-II ადგილებისთვის: საფრანგეთი — არგენტინა 27:12. III-IV: სამხრეთი აფრიკა — იტალია 61:15. V-VI: რუმინეთი — შოტლანდია 17:5. VII-VIII: ესპანეთი — ურუგვაი 31:6. IX-X: უელსი — რუსეთი 43:10. XI-XII: პორტუგალია — პოლონეთი 21:13

**„ბ" ჯგუფი**

მეოთხედფინალები (11. IV). ტაივანი — უკრაინა 18:0, ჩეხეთი — ტუნისი 12:0, ჩილე — გერმანია 63:0, მაროკო — პოლანდია 26:5

ნახევარფინალები (13. IV). I-IV ადგილებისთვის: ტაივანი — მაროკო 21:17, ჩილე — ჩეხეთი 26:10. V-VIII: უკრაინა — პოლანდია 19:5, ტუნისი — გერმანია 24:7

ფინალები (15. IV) I-II: ჩილე — ტაივანი 49:3. III-IV: მაროკო — ჩეხეთი 14:5. V-VI: ტუნისი — უკრაინა 16:11. VII-VIII: გერმანია — პოლანდია 20:17

**„გ" ჯგუფი**

პირველი ქვეჯგუფი (11, 12, 13. IV). იუგოსლავია — ბრაზილია 12:10, ბულგარეთი — ბრაზილია 33:8, იუგოსლავია — ბულგარეთი 10:5

მეორე ქვეჯგუფი. ბუქარესტი 16 (5) — საქართველო 8 (5) (ლ: ხონელიძე; ს: ხამაშურიძე), ბუქარესტი — ანდორა 36:0, საქართველო 17 (5) (3ლ: მაგრაქველიძე, ბალახაშვილი, ხამაშურიძე; გ: ძამიაშვილი) — ანდორა 10 (0)

ფინალები (15. IV). I-II ადგილებისთვის: საქართველო 38 (6ლ: ძამიაშვილი, ზედგენიძე, ბალახაშვილი, სავანაძე, რამიშვილი, ხონელიძე; 4გ: ხამაშურიძე) — იუგოსლავია 0. III-IV (?): ბუქარესტი (?) — ბულგარეთი 65:0. V-VI: ბრაზილია — ანდორა 14:0

**საბოლოო კლასიფიკაცია**

1. საფრანგეთი, 2. არგენტინა, 3. სამხრეთი აფრიკა, 4. იტალია; 5. რუმინეთი, 6. შოტლანდია, 7. ესპანეთი, 8. ურუგვაი; 9. უელსი, 10. რუსეთი, 11. პორტუგალია, 12. პოლონეთი — 13. ჩილე, 14. ტაივანი, 15. მაროკო, 16. ჩეხეთი; 17. ტუნისი, 18. უკრაინა, 19. გერმანია, 20. პოლანდია — 21. საქართველო, 22. იუგოსლავია, 23. ბულგარეთი, 24. ბრაზილია, 25. ანდორა

დაუპატიჟებელ სტუმრებს, რომლებსაც საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი, ვეტერანი მსაჯი გოჩა აბაშიძე თავკაცობდა, თავიდან უხიავად დაუხვდნენ, მაგრამ შემდეგ ჩვენებს ქომაგებიც გამოუჩნდნენ — მავანი იტალიელი და ერთიც ესპანელი ბასკი (უთუოდ ის, გარად ეპალსა რომაა), ვისაც ფირას შეჯიბრებების ფორმულების მოფიქრება ევალება. ჩვენი გუნდი მონაწილეთა სიაში აღადგინეს და დააბრუნეს იმავ „გ" ანუ მესამე დონეზე, საიდანაც უკვე მესამედ უნდა დაეწყოთ ქართველ ჭაბუკებს აღმასვლა, ვინაიდან წინა ორ ჯერზე ხელი მოსცარვიათ — ორივეჯერ მესამე, „საპრიზო" (??) ადგილზე დარჩენილან.

ამჯერად ჩვენებმა რესურსები სწორად გაანაწილეს. პირველი თამაში უკონკურსოდ მოასპარეზე ბუქარესტის ნაკრებთან ჰქონდათ. ვინაიდან მატჩის შედეგი ადგილების განაწილებისას არ ჩაითვლებოდა, ქართველებმა დამალეს სამი ლიდერი: „ქორების" 10 ნომერი გელა ძამიაშვილი, მისი თანაგუნდელი 8 ნომერი მამუკა მაგრაქველიძე და „აიას" ბურჯი აქვსენტი გიორგაძე. რუმინელები, რომლებიც საზოგადოდ ერთობ უწესო ქცევით არიან ცნობილი, არ მოელოდნენ ვილაც გადამთიელების ესოდენ კარგ თამაშს და რაკი რაგბით ვერ აჯობეს, ჩხუბი აუტეხეს, მაგრამ უმალ უკუქცეულ იქნენ. გუნდურ მუშტი-კრივში გამარჯვება ჩვენებს ძვირად დაუჯდათ: გაგვიძევეს და ჩემპიონატის ბოლომდე დისკვალიფიკაცია მისცეს „ყოჩების" მარბიელ ცხვედიანს, ბუქარესტელებმა კი ბოლო ლელო თამაშის მიწურულსღა გაიტანეს, თორემ ჩვენს ფაქტიურად მეორე შემადგენლობას მხოლოდ 11:8 უგებდნენ.

ორი დღის შემდეგ ქართველებმა დამაჯერებლად დაამარცხეს ანდორა, რომელსაც ერთადერთი კლუბი ჰყოლია და, რა თქმა უნდა, იგივე იქნებოდა ქვეყნის ნაკრები. ანგარიში ბოლო წუთამდე აქაც შთამბეჭდავი ყოფილა — 17:3, მერე კი ანდორელებს სრულიად უწყინარ ვითარებაში სხვაობა შეუმცირებიათ.

პირველი ქვეჯგუფიდან ფინალში მასპინძელთა მოწადინებით ძალისძალად გაუთრევიათ იუგოსლავია, რომლის მიმართ სპორტული სანქციები ბოლო დროს საგრძნობლად შერბილდა. მსაჯს ჩვენებისთვის თავიდანვე შეუტევია, მაგრამ ქართველებს თანდათან საკადრისი ადგილი მიუჩენიათ მეტოქისთვის, რომელიც საერთო კლასით საგრძნობლად ჩამოუვარდებოდათ.

ზედა დონეებზე რამდენიმე ღირსშესანიშნაობა მოხდა. ჩემპიონატში პირველად ითამაშეს უელსმა და შოტლანდიამ, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინეს. უმაღლეს დონეზე ამათ მოსაწყობად „ა" ჯგუფი გააფართოვეს და შიგ მოახვედრეს რუმინეთიცა და რუსეთიც, რომლებიც შარშანდელი შედეგების მიხედვით ესოდენ პატივს არ იმსახურებდნენ. „ბ" ჯგუფის შარშანდელმა გამარჯვებულმა ჩილემ წელს „ბ" ჯგუფიც თამაშ-თამაშ მოიგო და გაისად არგენტინასა და ურუგვაის „ა" ჯგუფში მხარს დაუმშვენებს. აი, პირველი ოთხეული კი იგივე დარჩა, რაც შარშან იყო. ერთი ეგაა, რომ საფრანგეთი და არგენტინა ორ-ორი საფეხურით აღზევდნენ, სამხრეთი აფრიკა და იტალია კი — ორ-ორით ჩამოქვეითდნენ.

რაგბის საერთაშორისო საბჭოში (ირბ) ფირას შესვლის შემდეგ შორს აღარაა დრო, როცა ჭაბუკთა საერთაშორისო ფორუმს ავსტრალია, ახალი ზელანდია, ინგლისი, ირლანდია, კანადა, იაპონია, სამოა და სხვებიც შეემატებიან. აი, მაშინ ფირას ტურნირი ნაღდ მსოფლიო ჩემპიონატად იქცევა და მის სახელს ახლანდელივით წინწკლებში აღარ ავიღებთ.

საგაისო პირველობის მასპინძლობა ჩილესა და მაროკოს სდომებიათ. ამას ჩვენები ერთობ შეუფიქრიანებია, ქვეყნის დასალიერში წასასვლელი ფული საიდან ვიშოვოთო. ფულზე ჩამოვარდა საუბარი და უთუოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი ჭაბუკთა ნაკრები რაგბის კავშირის პირველი ვიცე-პრეზიდენტის, თენგიზ რუხაძის წარდგინებითა და დაჟინებით ამჯერად ქვეყნის სპორტის დეპარტამენტმა დააფინანსა.

ჩილეს წინადადებას ყველა გულგრილად შეხვედრია. არც მაროკოს განცხადებია სერიოზული, ვინაიდან არაერთი პრობლემის გამო ამ ქვეყანაში ბევრ გუნდს ვერ ჩაესვლება. უთუოდ ამიტომ ყოფილა, მაღრიბის ეკონომიკურ და სარაგბო ცენტრ კასაბლანკაში აქამდე ორჯერ — 1971 და 1983 წლებში რომ გამართულა პირველობა, ორივეჯერ სარეკორდოდ ცოტა — ექვსი გუნდისთვის ძლივს მოუყრია თავი.

საქართველოს ღლესდღეობით კარგი ჭაბუკთა ნაკრები ჰყავს. ზემოთხსენებულთა გარდა თავი გამოუჩენიათ „რაშის" ბურჯ ჯაყელიძეს, „აზოტის" ახალბედა კვაჭ დათო ბალახაშვილს, გაგრელ ლტოლვილს, აწ კი „თბილისის" მეორეხაზელ გიორგი მესხს. ლიდერთა უმეტესობა თურმე გაისადაც ითამაშებს გუნდში, ვინაიდან 19 წლისა მაშინღა შესრულდება. უკანა ხაზი მორკინალებთან შედარებით მოიკოჭლებს, რაც უცხოელ სპეციალისტებსაც აღუნიშნავთ. მათ უთქვამთ, საქართველო უმეტესწილად შერკინებით გადის ფონზე. აი, ჩვენს მავან სპეციალისტებს კი ახლაღა შეუმჩნევიათ, რომ როგორც კაცთა, ისევე ჭაბუკთა ნაკრებები უკვე ერთიანად ქართული რაგბის წიაღში გაზრდილი მოთამაშეებისაგან შედგება — იმათგან, ვისაც სხრკ სარბიელზე არასოდეს უთამაშია. „ამის მიუხედავად, ისინი არაფრით ჩამოუვარდებიან საბჭოთა ეპოქის ვარსკვლავებსო" — დღეს წარბშეუხრელად ამაყობს ის საზოგადოება, ვინც ეროვნულ ჩემპიონატსა და მის ორგანიზატორებს წლების მანძილზე არათუ ხელს უშლიდა, აბუჩად იგდებდა კიდეც.




რომ იტყვიან, დრონი იცვალნენ, ჭაბუკთა საგაისო „მსოფლიო პირველობა" კი ალბათ მაინც იტალიაში გაიმართება.

**ზაალ ბიბილეიშვილი**

საქართველოს პირველობის II ჯგუფი
25.IV. ბათუმი. დელფინები — რაში (თბ) 6 (0) (2ს) : 13 (10) (2ლ, ს)

## აქეთური, იქითური

კვირას, ლონდონში, ქალთა „რიბოკის" 5-კილომეტრიანი კროსი მოიგო კენიელმა სალი ბარსოსიომ, მაგრამ მისი გამარჯვება გარკვეულწილად დაჩრდილა იმან, რომ ეთიოპიის მძლეოსნობის ხელმძღვანელთა წინადადებით „რაფ"-მა ორგანიზატორებს სტარტზე არ დააშვებინა სამი ეთიოპი. კროსის მსოფლიო პირველობის შემდეგ ბრიტანეთში რომ დარჩნენ და პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვეს. არადა, ეთიოპიაში ახლა მართლაც ეთნოკონფლიქტები მძვინვარებს და ქვეყანაც ნაწილებად იშლება, ბრიტანეთს შეხიზნულები ომერელები არიან, ამათ კი ტიგრელები მუსრს ავლებენ.

*

კვირასვე გამოცხადდა, რომ ჯერმისტონში (სამხრეთი აფრიკა) გამართული ეროვნული ჩემპიონატის მავანი მონაწილე, ვის ვინაობასაც ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავენ, მაგრამ იმას კი იუწყებიან, რომ 14 წლის სპრინტერი გოგონაა (!), სტეროიდების ხმარებაში უმხილებიათ. თუ მეორე სინჯიც დადებითი გამოდგა, მოზარდს ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია არ ასცდება.

*

ასეთი რამ გოლფის ევროპულ ტურზე წინა ჯერზე 11 წლის წინ მომხდარა, ამჯერად კი კინოფესტივალით ცნობილ ქალაქ კანში წინა უქმეებზე ისე წვიმდა, რომ შაბათ-კვირისთვის დანიშნული მესამე და მეოთხე წრეები ჩაიშალა, რის გამოც გამარჯვებული ორი წრის ჯამით გამოვლინდა. იგია შვეიცარიელი ანდრე ბოსე.

*

სარეკორდოდ მცირე დროში — სულ რაღაც სამ დღეში დასრულდა ვესტ-ინდოეთ — ავსტრალიის კრიკეტის მესამე ტესტი, 21 აპრილს ტრინიდადზე, პორტ-ოფ-სპეინის „ქვინზ პარკ ოვალზე" რომ დაიწყო. მატჩის შემდეგ ორივე გუნდის კაპიტანმა გააკრიტიკა სველი, სრიალა ზოლი, რამაც მომწოდებლებს ერთობ გაუიოლა საქმე, ტაფელოსნებს კი გასაქანი არ მისცა. მასპინძლებმა 9 ბჯით გაიმარჯვეს და სერიის ანგარიში გაათანაბრეს 1-1. ბოლო, მეოთხე ტესტი იამაიკაზე ხვალ იწყება.

*

კვირას „სუძუკაზე" წვიმაში გაიმართა მოტოციკლისტთა მსოფლიო პირველობის მესამე ეტაპი — „იაპონიის დიდი პრიზი". წლევანდელი ლიდერი და შარშანდელი ჩემპიონი, „ჰონდათი" მრბოლი ავსტრალიელი მაიკ დუენი ბოლო წრემდე წინ იყო, მაგრამ მოსრიალდა და „სუძუკით" მოასპარეზე თანამემამულე დარელ ბითიმ გაუსწრო. ამან კარიერაში მეორე „დიდი პრიზი" მოიპოვა და ახლა 3 ეტაპის ჯამში 5 ქულითღა ჩამორჩება დუენს.

*

პიტერ ბლეიქის „თიმ ნიუ-ზილენდმა" წინა ხუთშაბათს 2 წუთი და 30 წამი მოუგო აფროსანთა „ამერიკის თასის" 1983 წლის გამარჯვებულის, ჯონ ბერტრანთის „ვან ოსთრეილიას" და გაიმარჯვა მოცილეთა შეჯიბრში. ფინალის ანგარიშია 5-1, ბლეიქის ეკიპაჟს კი „ლუი ვითონის თასი" გადაეცა. დამცველთა შეჯიბრის ლიდერს — დენის ქონორის „სთარზ ენდ სთრაიფზს" საბოლოო გამარჯვებამდე ერთი მოგება აკლია, მაგრამ ორშაბათს 52 წამი წააგო „იანგ ამერიკასთან", სამშაბათს კი უქარობამ შეჯიბრი ჩაშალა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკევობით. ინდექსი 66441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ ბიბილეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)
კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29